გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N8 (9188) 21 მარტი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

ჟურნალისტიკის გზაზე

სოფელი ქალაქის კომფორტით

3

6

ეს ჩვენ ვართ, ჟურნალისტები

ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლება მაინც ჩვენ ვართ, მეოთხე!

7



ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი სახელმწიფო უნდა იყოს

4

21 მარტი დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღე

მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!

3

აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ!

5

მოქნეულ-მოუზომავი საკრებულოს დღის წესრიგში

არ მოგწონს ფოცხვერია? აირჩიე ჯამბურია!

თეა ბაბუნაშვილი

ფრაზა, სათაურად ქცევის პრესტიჟი რომ ერგო, ნაბაკევის თემში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გასანაწილებელ თანხებთან დაკავშირებული შეხვედრისას ითქვა. მისი ავტორი ჯემალ ხარებავა, ხაზს უსვამდა, არჩევნებზე არმისვლა საკუთარი ქვეყნის, საქმის ღალატიაო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებას ყველაფერში ეთანხმება და თანაუგრძნობს, ერთს მაინც საყვედურობს. ეს ერთი კი "ნაციონალებთან" კოჰაბიტაციაა. საპრემიო სისტემაც ეჩოთირება ბატონ ჯემალს, მაგრამ გამოსავალი ნაპოვნი აქვს: "ვინც მაღალ პრემიას იღებს, მას დიდი პასუხისმგებლობაც აქვს. საერთოდ კი მაგ საპრემიო სისტემა, კიდე იმ მიშაიე სააკაშვილის დატოვებულია!"

ეს ლირიული გადახვევა იმ შეხვედრიდან. ახლა საქმე!

ნაბაკევის თემი ხუთ სოფელს აერთიანებს. ხუთივე მათგანზე _ ნაბაკევი, ხუნჯულაური, ჩხენიში, ნინუაკუთხე, კვირიკე, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 70 ათასი ლარია გამოყოფილი. თითოეულ სოფელში მის დახარჯვას საჭიროებისამებრ გეგმავენ, პრიორიტეტებს არჩევენ. მოსახლეობასთან შესახვედრად ჩასული მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე და მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია სოფლის მოსახლეობას უსმენდა და მათ მიერ დასახელებულ პრიორიტეტებს ეცნობოდა. იმ დღეს ჩხენიშელებს, ნინუაკუთხელებს და კვირიკელებს შეხვდნენ სტუმრები, რა თქმა უნდა, თემში გამგებლის წარმომადგენელ ოთარ წულეისკირთან და სოფლის მაჟორიტარ ვაჟა სტურუასთან ერთად.

პრობლემები თითქმის ყველა სოფელში ერთნაირია, მეტ-ნაკლები სახესხვაობით. შიდა გზების მოწესრიგება, წყალსაწრეტი არხების კეთილმოწყობა, სასაფლაოს ტერიტორიის შემორაგვა თემის ძირითადი პრობლემებია. გამგებელმა შეკრებილებს შეახსენა, რომ გაზიფიცირების საკითხი არაერთ სოფელში, მათ შორის ამ თემშიც უკვე მოგვარდა. მოსახლეობამ ჩხენიშში საბავშვო ბაღის არქონის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. ვალერი ფოცხვერიამ მათ აუხსნა, რომ საბავშვო ბაღის მშენებლობას მათთვის განკუთვნილი მთელი თანხაც არ ეყოფა. ამ საკითხის გადაჭრის სხვა გზა უნდა გამოიძებნოს. შეკრებილთაგან რამდენიმე უკმაყოფილოს პასუხად კი განაცხადა: "სოფელი ერთი ხელის მოსმით არ აშენებულა. ჩვენმა ხელისუფლებამ აქცენტი ჯანდაცვასა და განათლებაზე აიღო. ამ ორი ძვირადღირებული სფეროდან თუ გამოვათავისუფლებთ სახსრებს, ყველაფერს მოევლება, მაგრამ არ გვჭირდება ამ სფეროების დაფინანსება? ხელისუფლებამ მოსახლეობის შენიშვნები და ლანძღვაც კი უნდა აიტანოს, თუმცა, უმადურები ნუ ვიქნებით, გაკეთებული დავინახოთ." მან, როგორც ხშირად აღიშნავს ხოლმე, მოგვარებული პრობლემების ჯეროვნად არგაშუქებაში მედია დაადანაშაულა, ყველა ტელევიზია და მედიასაშუალება ჩვენზე უარყოფითადაა მომდგარიო, დასძინა.

მოსახლეობის მოთხოვნა თითქმის ყველგან გახლდათ გარე განათების სისტემის მოწყობა. სოფელ კვირიკეში, ცენტრალური გზის გასწვრივ, გაუნათებელი ძალიან პატარა მონაკვეთია დარჩენილი. გამგებელმა არაერთგან, არაერთხელ, ამ შემთხვევაში აქაც ახსნა, რომ გარეგანათება ტვირთად აწვება ადგილობრივ ბიუჯეტს. კომუნისტების დროსაც კი, ჭიშკართან ანთებული ლამპიონის გადასახადს მოსახლე იხდიდა. ახლა ლამპიონზე მოხმარებული ელექტროენერგიის თანხა ბიუჯეტიდან მიდის. ამიტომ სასურველია, ამგვარი ხარჯი ბიუჯეტს ნაკლებად დააწვეს.

ოთარ წულეისკირი აღნიშნავს: "მისასალმებელია მოსახლეობის ჩართვა და დაინტერესება მათ სოფელში არსებული პრობლემებით და მათი აღმოფხვრის გზებით. იმ სახსრებით, რაც ცალკეული სოფლისთვისაა განსაზღვრული, გამოიკვეთა პრიორიტეტები. კვირიკეში გარე განათება, ჩხენიშში ცენტრალური გზის ორმული შეკეთება, ნინუაკუთხეში, ე. წ. "ჯანდრების" უბანში გზის დახვნა-დაგრეიდერება, წყალსაწრეტი არხების მოწესრიგება, ხუნჯულაურში სასაფლაოს შემორაგვა, ნაბაკევში კი ბარამიძეების უბნის გზის მოწესრიგება იგეგმება. აქვე ისიც, რომ რგფ-ის პროგრამით სოფელ ჩხენიშში დაიგება ასფალტ-ბეტონის გზა."

მიუხედავად იმისა, შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვაში ჩარევის უფლება არ აქვთ, რჩევის უფლებას იყენებს და მუნიციპალიტეტის გამგებელი თავის კომენტარში ხაზს უსვამს: "როცა წყალდიდობის დროს სოფელი იტბორება და იქ გარე განათებაზე დაგიწყებენ საუბარს, არ უნდა იყოს მთლად სწორი. ეს მაგალითად მომყავს, ამ კონკრეტულ თემს არ ვგულისხმობ მხოლოდ. სოფელში პრობლემას რა გამოლევს, მაგრამ პირველადი და აუცილებელი უნდა იყოს აქცენტირებული."

კვირიკეში იმ დღეს სოფლისთვის მტკივნეულ კიდევ ერთ საკითხს შეეხნენ, რომელიც სოფლის პროგრამით ვერ მოგვარდება. ეს საძოვრის თემაა. კვირიკელებს მხოლოდ 5 ჰექტარი ფართობი აქვთ საძოვრისთვის, რაც სოფელს არ ჰყოფნის. საკითხის შესწავლა გამგებლის დაპირებით ახლო მომავალში კიდევ უფრო გულდასმით მოხდება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა გრძელდება

ნათია ნაცვლიშვილი

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწ-

არმეობის განვითარების სააგენტომ 2015 წლის მარტიდან დაიწყო.

პროგრამის 2015 წლის შედეგების მიმოხილვით და ახალი ბიზნეს-ინიციატივების წამოწყების შეთავაზებით წარსდგნენ შეკრებილი აუდიტორიის წინაშე ამ პროექტის მენეჯერი გოგი კახიძე და საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის მონიტორინგის მენეჯერი კახაბერ აბჟანდაძე. აუდიტორიას ძირითადად მეწარმეები და მუნიციპალიტეტის სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები შეადგენდნენ. კახაბერ აბჟანდაძე შეკრებილ საზოგადოებას მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ძირითად მიზნებზე ესაუბრა, დასახელდა რამდენიმე წარმატებული და ინოვაციური ბიზნეს-გეგმა.

პროგრამის ბენეფიციარების შერჩევა განხორციელდება სამ ეტაპად. I ეტაპი ბიზნეს-იდეის განაცხადის შევსებაა. ითქვა, რომ ერთი ბიზნეს-იდეის გარშემო მაქსიმუმ სამ ადამიანს შეუძლია გაერთიანება. პირველ ეტაპზე გამარჯვებული ბიზნეს-იდეის ავტორებს ჩაუტარებენ ტრენინგებს და ასწავლიან ბიზნეს-გეგმის შედგენის სპეციფიკას. III ეტაპი კი შერჩეული ბიზნეს-გეგმების დაფინანსებაა.

თუ 2015 წლის სტატისტიკას გადავხედავთ, დეკემბრის მდგომარეობით პროექტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმებულია 1006 ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს 1550 ბენეფიციარს. ამჟამად დამტკიცებული ბიზნეს-გეგმებიდან 36,5% ეკუთვნით ქალ მეწარმეებს.

დამტკიცებული გეგმების 40% ტრადიციულად სოფლის მეურნეობის დარგზე მოდის, თუმცა, აღსანიშნავია, ასევე მომსახურების სფეროს კუთხით დაფინანსებული საქმიანობები, კერძოდ, სასტუმროსა და ტურიზმის ინდრუსტრიასთან დაკავშირებული ბიზნესები, მეტალისა და პლასტმასის საამქროები, ავეჯის წარმოება, ავტო-ტექმომსახურების, სილამაზისა და ესთეტიკის სალონების გახსნა.

"პრიორიტეტული შემოსავლებზე ორიენტირებული ბიზნესი იქნება, ანუ ვისი ბიზნესიც იქნება სიცოცხლისუნარიანი, სასურველია წამოიწყოთ ბიზნესი, რომელიც 6 თვის განმავლობაში რაღაც შემოსავალს მოგვცემს, (და არა მაინც და მაინც მოგებას) ფულადი ნაკადი 6 თვის შემდეგ უნდა გაჩნდეს ბიზნესში. მაგალითად, ვაზი ან თხილი შემოსავალს 3-4 წლის შემდეგ იძლევა, ჩვენი პროგრამა 2017 წელს უნდა დასრულდეს, ამდენად, მსგავსი ინიციატივები არ გამოგვადგება. ბიზნეს-გეგმის წარმოდგენისას პრიორიტეტი ენიჭებათ ახალგაზრდებს, ქალბატონებს, ასევე მნიშვნელოვანია, მეწარმე იყოს მოტივირებული". _ აღნიშნა პროექტის მენეჯერმა.

დაფინანსება გაიცემა შემდეგი სქემით: ერთი მეწარმე 5000 ლარი (თანამონაწილეობა 20%). ორი მეწარმის ამხანაგობა 10 000 ლარი (თანამონაწილეობა 20%). სამი მეწარმის ამხანაგობა 15 000 ლარი (თანამონაწილეობა 20%).

გაზაფხულდა...

უთქვამთ, ვიდრე მარტი წინაა, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო. ასე თუ ისე კალენდარული გაზაფხული უკვე დაიწყო და ნაზამთრ მზესაც სიცხოველე თანდათან ემატება.

მალე შევიტყობთ, შეიმოსებიან თუ არა მწვანედ და გაიხარებენ თუ არა შემოდგომაზე ქალაქის სხვადასხვა ადგილებში დარგული მცენარეები.

კომუნალური მომსახურების გაერთიანება ერთ-ერთი მეტად საჭირო და წარმატებული სამსახურია. არაერთხელ აღნიშნულა, რომ ეს ამ სამსახურში დასაქმებული თითოეული ადამიანის მკლავმოუღლელი შრომის შედეგია. მაგრამ მარტო შესაბამისი სამსახურები ვერას გახდებიან, თითოეულმა ჩვენგანმა უფრო მეტი თუ არ გავაკეთეთ მშობლიური ქალაქის სისუფთავისა და სიკოხტავისათვის, თუ თითოეულმა არ შევმატეთ მას მწვანე ნარგავები, არ მოვიყვანეთ წესრიგში ღელე-მდინარეთა შემოგარენი და ა. შ.

სიახლეს არავისთვის წარმოადგენს ის გარემოება, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ვერ გაურჩევია, არ სურთ განასხვავონ მათი და სხვისი საკეთებელი საქმე.

ტრადიციად დამკვიდრდა ეზოების წინ გამავალი თხრილების, საწრეტების გასაწმენდად ხელის სოფლისა და მუნიციპალიტეტის თავკაცებისაკენ გაშვერა.

ბანკომატებთან, ფულის ჩასარიცხ აპარატებთან, ბაღებსა და სკვერებში, სადარბაზოებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ახალდაგვილზე ათასი სიბინძურის ნახვა ჩვენს ქალაში, სამწუხაროდ იშვიათობას სულაც არ წარმოადგენს.

ნაგვის ურნები ცარიელია, ნაგავი კი იქვე ურნასთან ჰყრია, არის ასეთი შემთხვევებიც.

გაცვეთილი, ათჯერ, ასჯერ... მრავალთაგან მრავალგზის ნათქვამია, თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ აუცილებელია ვთქვათ, რომ ვერც ერთი უწყება, სამსახური ვერ გახდება საკუთარი ძალებით ვერაფერს, თუ ყველა ჩვენგანი არ მივედით იმ შეგნებამდე, რომ ჩვენი ქალაქის, დაბის, სოფლების, უბნის სისუფთავე და სიმშვენიერე ჩვენივე ღირსების საქმეა.

ლევან გაბრაძე

სოფელი ქალაქის კომფორტით

თეა ბაბუნაშვილი

თავისუფლება განათლების გარეშე არის ის, რასაც ფარული კადრები ჰქვია!

იმ დღეს დიდი ჯიხაიში საზოგადოების ყურადღების ცენტრში, "ულმობელი საქმის კაცის", დიდი ნიკო ნიკოლაძის გამო არ მოქცეულა. იქ საზოგადოებრივი ცენტრი იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა იმერეთის გუბერნატორ გივი ჭიჭინაძესა და ნიკოს შთამომავალ სალომე ზურაბიშვილთან ერთად გახსნა. "დღეს ნიკო ნიკოლაძის, მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სოფელში გავხსენით რიგით 32-ე საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც აგრძელებს იმ ხაზის, იმ პროექტის განხორციელებას, სხვადასხვა სერვისის მეტად ხელმისაწვდომობას რომ გულისხმობს. ეს სერვისები არ უნდა იყოს მხოლოდ დიდი ქალაქის ფუფუნება. ჩვენ გვინდა სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობის თანასწორი იყოს, როცა საქმე წიგნს, ბიბლიოთეკას, განვითარებას და სერვისებს ეხება. აქ ორასზე მეტი საჯარო სერვისის განხორციელება იქნება შესაძლებელი. პასპორტის, ატესტატის, დაბადების მოწმობის აღება, პენსიის მიღება, ქორწინების რეგისტრაცია. საქართველოს 40-მდე სოფელში კიდევ გაიხსნება ამგვარი ცენტრი, რათა სოფლის ახალგაზრდებსაც ისეთი კომფორტი ჰქონდეთ შექმნილი, როგორც აქვთ მათ თანატოლებს დიდ ქალაქებში." _ განაცხადა თეა წულუკიანმა.

წინაპრების სოფელში სალომე ზურაბიშვილი აღნიშნავდა: "დღეს ნიკო ნიკოლაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავად გააკეთებდა ამ საქმეს თავისი სახსრებით, რათა ეს პატარა სოფელი ჩართულიყო ქვეყნის ცხოვრებაში. თუმცა, დიდ ჯიხაიშს სოფელს ვერც ვუწოდებთ, იგი პატარა ქალაქია. ნიკოს კონცეფცია ყოველთვის გახლდათ ის, რომ საქართველო სოფლის გარეშე ვერ იქნება. და ეს დღესაც ასეა. სამწუხაროდ, დღეს სოფელი არ არის ისეთი, როგორიც სჭირდება ქვეყანას. მისი სიძლიერის ერთ-ერთი ნაწილი იმ კომუნიკაციებში ჩართვაა, რაც აუცილებელია ადგილობრივებისთვის, სოფლიდან გაუსვლელად აუღოს ალღო თანამედროვეობას."

ჰყვა მის პასუხს ვალერი ფოცხვერიას განცხადებაზე: "სამტრედია ორ ნაწილად იყოფა, გაღმა და გამოღმა ზონად. გაღმა ზონაში საზოგადოებრივი ცენტრის აგების პრიორიტეტი დაფნარს ეკუთვნის." "დაფნარში იუსტიციის მომავალმა მინისტრმა ააშენოს, მე არც გაგრძელებას, არც დაწინაურებას, მე სახლში წასვლას ვაპირებ!" _ უპასუხა მინისტრმა გამგებელს. ღიმილიანი თემა იმით გაგრძელდა, რომ სამტრედიას გაუმართლა, მინისტრ თეა წულუკიანის დედულეთი ნოღაა, გუბერნატორ გივი ჭიჭინაძის ეწერი, პარლამენტარ გიორგი კახიანის იანეთი და ყველანი კი იმ დღეს სალომე ზურაბიშვილის წინაპართა სოფელში იმყოფებოდნენ სტუმრად.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ინგა ხარაიშვილისა და დავით კოხრეიძის ოთხშვილიანი ოჯახისთვის გახლდათ. აღმოჩნდა, რომ მიუხედავად 14 წლიანი ცოლქმრული თანაცხოვრებისა, მათი უფროსი შვილი 12 წლისაა, უმცროსი კი ერთის, ისინი ქორწინებაში რეგისტრირებულები არ ყოფილან. ქორწინების მოწმობა მათ იუსტიციის მინისტრმა თავად გადასცა.

პროექტით, "საზოგადოებრივი ცენტრის მოხალისე", დაინტერესებული ახალგაზრდები საზოგადოებრივი ცენტრის ოპერატორებთან ერთად სამუშაო პროცესში ჩაერთვებიან, რათა პირველ რიგში თავად მიიღონ აქ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

ნიკო ნიკოლაძეზე ბევრი ისაუბრეს იმ დღეს. იმერეთის გუბერნატორმა, გივი ჭიჭინაძემ მას პირველი ჩინოვნიკი უწოდა: "შეიძლება ითქვას, რომ იგი პირველი ჩინოვნიკი იყო. მან ჩამოაყალიბა და შექმნა ქალაქი- სისტემა. საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპი თავიდან ბოლომდე შესწავლილი და გათვითცნობიერებული ჰქონდა. პრაქტიკოსი, მოაზროვნე, მეურნე, ადამიანი სახელმწიფო. აი, ვინ იყო იგი და მისი ღვაწლი გაცილებით მეტად უნდა იქნას დაფასებული." აქვე იმაზეც, რომ სანამ კომფორტული და თანამედროვე საზოგადოებრივი სახლის შენობამდე მოვიდოდნენ, სანამ ნიკო ნიკოლაძესა და მის მიერ სოფლის განვითარებით ქვეყნის ძლიერების კონცეფციაზე ისაუბრებდნენ, მაღალი რანგის სტუმრებმა ნიკო ნიკოლაძის დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობას ჩამოუარეს, რომელსაც ფასადიდანვე ეტყობა უკიდურესი უყურადღებობა ხელისუფლების მხრიდან. "საუბარი გვქონდა კიდეც ბატონ გუბერნატორთან. მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყება ჩვენთან სარემონტო სამუშაოები. შეუძლებელია, იმ პირობებში და იმ ტექნიკური აღჭურვილობით აღზარდო ისეთი კადრები, დღეს ქვეყანას რომ სჭირდება." _ აღნიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგროინჟინერიისა და სასურსათო ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის ხელმძღვანელმა, ზუტა მიქაძემ.

და რა თქმა უნდა, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრები საუბრის მთავარი თემა გახდა. "ეს არის თანამიმდევრული დარტყმები ხელისუფლებასა და სახელმწიფოზე. ჩვენი ვალდებულებაა, ეს უმსგავსო ქცევა, რომელიც იმთავითვე დანაშაულია, გამოძიებული და დასჯილი იქნას. ჩვენი ხელისუფლება ვერ აიღებს პასუხისმგებლობას მათ გადაღებასა და გავრცელებაზე, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა, გამვრცელებლები დაისაჯონ, რაც არ უნდა რთული იყოს მათი კვალის მიგნება დღევანდელი მაღალი ტექნოლოგიების ერაში ხმამაღლა ვაცხადებ, ეს კადრები ვერ შეგვაშინებს. მიხარია, რომ ყველა მედიასაშუალება ღირსეულად მოიქცა და მადლობა ამისთვის მათ." _ განაცხადა საკითხთან დაკავშირებით თეა წულუკიანმა.

სალომე ზურაბიშვილი ამ ყველაფერს უპირველესად გაუნათლებლობის სინდრომად მიიჩნევს: "ვიცით, რა ძალა და რომელი ხელისუფლება კერავდა ამგვარ კადრებს. მას ვიღაც ოდესმე რომ გამოიყენებდა, მათთვისაც ცხადი იყო, ისინი ამისთვის იქმნებოდა. არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ არაა ძნელი მისახვედრი, რა ძალას უნდა აძლევდეს ხელს მათი გამოყენება. ამიტომაცაა საჭირო თავისუფალი და უფრო მეტად განათლებული ახალგაზრდობა, თორემ თავისუფლება განათლების გარეშე არის ის, რასაც ფარული კადრები ჰქვია.!"

წელს 41-მდე უნდა ავიდეთო, დიდ ჯიხაიშში საზოგადოებრივი ცენტრის მორიგი ოფისის გახსნისას დაისახა მიზნად თეა წულუკიანმა. მიკროფონთან საუბრისას მისი მობილური ტელეფონით შექმნილი ხარვეზი თავადვე "გააპროტესტა" _ "ჩემი ბრალი როგორ არის ყველაფერი!"

საპატიო სტუმრებისთვის სამტრედიული სიურპრიზი ჯგუფ "ლადის" სახელდახელო კონცერტი აღმოჩნდა. გათანამედროვებული ქართული ფოლკლორი დღის კულმინაციად გუბერნატორის მოწოდებით რიტმულ ტაშში გამოხატულ ოვაციად იქცა.

21 მარტი დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღეა!

მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს!



არ არსებობს ამ დაავადების განკურნების წამალი, მაგრამ დაავადებულთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. იგი გენეტიკური სახეცვლილებაა, ყველაზე გავრცელებული ქრომოსომული დაავადებაა და დაუნის სინდრომით იცნობს მედიცინა.

დაუნის სინდრომით დაავადებას იწვევს ერთი ზედმეტი ქრომოსომა, ანუ ნაცვლად 46-ისა, 1 ქრომოსომა 21-ე წყვილში, რასაც წყვილის ტრიმოსომა ჰქვია. დაუნის სხვადასხვა შემთხვევიდან, ტრისომია, ტრანსლოკაცია და მოზაიციზმი, ტრისომია ყველაზე გავრცელებული ფორმაა.

გენეტიკური სახეცვლილება 1866 წელს ჯონ დაუნმა, ხოლო შემდეგ, 1959 წელს ფრანგმა გენეტიკოსმა, ჟერემი ლეჟერმა აღწერა.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით პირველად 2006 წლის 21 მარტს აღინიშნა. თვე და რიცხვი შემთხვევით არ შერჩეულა, 21, ანუ ოცდა მეერთე ქრომოსომა და მარტი, წელიწადის მესამე თვე, ანუ ტრიმოსომა.

ყოველი 800 ბავშვიდან ერთი დაუნის სინდრომით იბადება. დაუნი შეიძლება ეყოლოს ნებისმიერ ადამიანს. იგი არც მემკვიდრეობითი და არც გადამდებია.

2006 წლიდან მოყოლებული 21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომით დაავადებულთა დღეს აღნიშნავს.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, დამკვიდრდა უთვალავი ფერადი წინდის შეძენის ტრადიცია, სოლიდარობის ორიგინალურად გამოსახატად დაუნის სინდრომით დაავადებულთა მიმართ. ეს ტრადიციად 2013 წლიდან დამკვიდრდა. ფერადი წინდების შეძენით ადამიანები გარშემომყოფთა ყურადღებას იქცევენ და ახდენენ მათ ინფორმირებულობას დაავადების ირგვლივ. "უთვალავი ფერადი წინდის" იდეას საქართველოც უერთდება.



ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობის მარანტი სახელმწიფო უნდა იყოს

ნინო ნანიტაშვილი

"მორალური ტერორი და შანტაჟი" _ ასეთი შეფასება მისცეს ინტერნეტსივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ახალი ვიდეოკადრების გავრცელებას.

11 მარტს, პარასკევს გამოქვეყნებულ მასალას 14 მარტს კიდევ ახალი ვიდეო დაემატა, რომელიც უცნობმა პირმა ინტერნეტში ატვირთა. ამჯერად ვიდეოს მუქარის ტექსტიც მოჰყვა, სადაც ქართველ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს პირდაპირ აშანტაჟებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნებით.

14 მარტს ატვირთული პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ახალი კადრები მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი, დაახლოებით, 7 საათის განმავლობაში იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში უცნობი დარჩა იმ პირის ვინაობა, ვინც უკანონოდ მოპოვებული ვიდეო ჯერ ინტერნეტში განათავსა, შემდეგ ლინკი სოციალურ ქსელში სხვადასხვა ადამიანს ჩაუგდო.

რაც იმთავითვე ცნობილი გახლდათ ის იყო, რომ გამავრცელებლების მოქმედების ხელწერა იდენტურია, 14 მარტსაც ახალი კადრების შესახებ ინფორმაცია მათ მედიის წარმომადგენლებს გაუგზავნეს. და ასევე, რასაც გამოძიება არ სჭირდება, უდავოა ისიც, რომ მსგავსი ქმედებები პირდაპირ სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. ამდენად, ხელისუფლება პირველი უნდა იყოს დაინტერესებული ძალოვან სტრუქტურებთან ერთად დანაშაული დროულად გამოიძიოს და დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯონ.

საზოგადოება მორალური ტერორის ქვეშ იმყოფება და დაუცველია _ ასეთი განცდა შეიმჩნევა დღეს იმ ქვეყანაში, რომლის ამომრჩეველმა 2012 წლის პირველ ოქტომბერს ყოფილ ხელისუფლებას უარი იმის გამოც უთხრა, რომ მაშინდელი ჩინოვნიკები თვალთვალისა და ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ ასეულობით ადამიანს ამყოფებდნენ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც შეეძლო ქართულ პოლიტიკაში ამინდი შეექმნა, თავისი გადამწყვეტი გავლენიანი სიტყვა და საქმე ჰქონოდა.

სამწუხაროდ, იმ პერიოდში გაყვანილ ხნულში ჩაყრილი მარცვლის ნაყოფს ქართული საზოგადოება დღეს იმკის, რომლის რეალური და პრაქტიკული დადასტურებაა 11 და 14 მარტს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ვიდეოები, რომლებიც ქართველი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს ასაჯაროებდნენ. იმ დღეებიდან მოყოლებული ვისმენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების მხრიდან ჟურნალისტების მისამართით წარმოთქმულ არაერთ სამადლობელს, რომ მედიასაშუალებები არ აჰყვნენ ცდუნებას და ახალი ვიდეოები ფართო მასშტაბის აუდიტორიის ასპარეზზე არ გამოიტანეს. თუმცა თემა აქტუალური რჩება როგორც განხილვისა და მსჯელობის საგანი, სხვადასხვა მედიასაშუალებების მეშვეობით ვისმენთ თავად პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, დაზარალებული პირების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოსაზრებებს, კონკრეტულ შეფასებებს. მომხდართან დაკავშირებით ყველას დამოკიდებულება უარყოფითია. თუმცა განსხვავებულს ამბობს ორი მხარე: ვის უნდა აწყობდეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელება, ამ შეკითხვაზე საპასუხოდ ოპოზიცია ხელს ხელისუფლებისკენ იშვერს, ხოლო მოქმედი პოლიტიკური ძალა დამნაშავეს "ნაციონალურ მოძრაობაში" ხედავს, კონკრეტულად კი იმ ადამიანებში, რომლებიც თავის დროზე უკვეთავდნენ მსგავსი კადრების გადაღებას და ამ კადრებით საზოგადოების გარკვეული ნაწილის ტერორს.

"სამტრედიის მაცნე" თავდაპირველად მუნიციპალიტეტში მოქმედი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს დაუკავშირდა, დაინტერესდა კოლეგების შეფასებებით.

ვიღაცას რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია უნდა, ამაში ეჭვი ვალერიანე ფოცხვერიას არ ეპარება. "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ხისტად გამორიცხავს, რომ ეს ინტერესში მმართველ პოლიტიკურ ძალას არ უნდა გაჩნდეს. იმავდროულად მუნიციპალიტეტის გამგებელი კატეგორიულია იმაშიც, რომ ასეთი ფაქტები ჩვენს ქვეყანაში აღარ უნდა ხდებოდეს: "იმაზე მეტი ამაზრზენი რა უნდა იყოს, როცა პირადი ცხოვრება დაუცველი ხდება. არავის აქვს უფლება, ხელი აფათუროს სხვის საძინებელში თუ სადღაც სხვაგან. ნორმალურ ქვეყანაში ეს არ უნდა ხდებოდეს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ვის უნდა აწყობდეს ცალკეული ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნება, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ შეიძლება იყოს ხელისუფლების ინტერესში. წარმოუდგენელია, დესტაბილიზაცია ქვეყანაში აწყობდეს მმართველ პოლიტიკურ ძალას.

ინტერნეტსივრცე არის თავისუფალი. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ვერ გააკონტროლებს ამას. ერთი შემიძლია ვთქვა, ის რაც ამ ბოლო დღეებში მოხდა, ხელისუფლების წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს. აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანებს, რომლებიც ხელს ხელისუფლებისკენ იშვერენ, თვითონ აქვთ ამ სიბინძურეში ხელი გასვრილი და სურთ დაამტკიცონ, თუ ჩვენ ცუდები ვიყავით, ესენიც ცუდები არიან. ჩვენს გადაღებულ კადრებს ესენი აქვეყნებენო. ჩემი სუბიექტური აზრია, ვისაც ჰქონდა ეს კადრები ჩაწერილი, სწორედ მათი ხელშეწყობით ვრცელდება. როგორ ფიქრობთ, როცა ფირების ამოღება და განადგურება მოხდა, არ იყო შესაძლებელი, ე. წ. დუბლიკატები სხვაგანაც არ ჰქონდათ გადამალული? ერთი კი არა, შეიძლება რამდენიმე დუბლიკატი არსებობდეს.

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით დაშანტაჟება მიმართულია დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, ვიღაც-ვიღაცეები დაინტერესებულები არიან საქართველოში მოხდეს დესტაბილიზაცია, მაგრამ ვერ მიაღწევენ ამას, რადგან საზოგადოებამ ყველაფერი იცის".

ცალკეული პიროვნებების ინტიმური ურთიერთობებით რომ არ უნდა ვიყოთ დაინტერესებულები, "სამტრედიის მაცნესთან" გაკეთებულ კომენტარში ამაზე მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრის უფროსი ამახვილებს ყურადღებას. სოფიო კირთაძისთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტების გასაჯაროება: "ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, არა აქვს მნიშვნელობა, როდის იქნა გადაღებული, ან როდის იქნა გამოქვეყნებული აღნიშნული ჩანაწერი. უბრალოდ, ნებისმიერ შემთხვევაში არ არის მისაღები პირადი ცხოვრების ამსახველი ფაქტების გასაჯაროება. არ მაინტერესებს არავის სექსუალური ცხოვრება, მთავარია, იგი საზოგადოებისთვის არ წარმოადგენდეს საშიშ პიროვნებას და იყოს თავისი საქმის პროფესიონალი. იმედია, სამართალდამცავები გამოიძიებენ აღნიშნულ ფაქტს და მსგავსი სიტუაცია აღარ განმეორდება. ვფიქრობ ბევრი საქმე გვაქვს საკეთებელი და ცალკეული პიროვნებების ინტიმური ურთიერთობები არ არის საზოგადოებისთვის საინტერესო".

მართალია, მავნე პრაქტიკა წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრდა, "კონსერვატორ" კობა ძიძიგურს სამწუხაროდ მიაჩნია ის, რომ ფარული კადრები მისი ხელისუფლების პირობებში გამოქვეყნდა. თუმცა იგი კატეგორიულად გამორიცხავს ხელისუფლების მხრიდან მსგავსი ფაქტების წახალისებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მომხრეა, მკაცრად დაისაჯონ შემკვეთებიცა და შემსრულებლებიც: "წინა ხელისუფლების პერიოდში დამკვიდრდა ეს მავნე პრაქტიკა, ვგულისხმობ პირადი ცხოვრების შეურაცხყოფას, რაც საერთო ჯამში გულისხმობს მოსმენებს, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებს და ა. შ. პირადად მე ამის მსხვერპლი არ ვყოფილვარ, მაგრამ ფაქტი იყო, ჩემს ტელეფონსაც უსმენდნენ, რაც ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნიდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მას შემდეგ რაც "ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, მსგავსი პრაქტიკა აღარ არსებობს. სახელმწიფო მანქანა მსგავს უზნეობას არ აკეთებს. იგი არ ცდილობს თავისი ხალხის დაშანტაჟებას და დამორჩილებას ბინძური მეთოდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ არის დარჩენილი გარკვეული ძალა, რომელიც ბინძურ მეთოდებს კვლავ მიმართავს. ისინი ცდილობენ, დაიმორჩილონ შანტაჟის გზით პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, თავიანთი მიზნების შესასრულებლად. ყველა შემთხვევაში ეს არის უზნეობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, ყველანაირად ეწინააღმდეგება კაცობრიობის მიერ შექმნილ ყველა მორალს. სამწუხაროა, რომ ასეთი ფაქტები გამოქვეყნდა ჩვენი ხელისუფლების პრიობებში, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფაქტი ხელისუფლების მხრიდან არის წახალისებული. მე ვიტყოდი, რომ პირიქით, ხელისუფლება ყველანაირად ეცდება, პირველ რიგში შეზღუდოს მსგავსი მცდელობები, გამოიძიოს და მკაცრად დასაჯოს აღნიშნული დანაშაულის შემოქმედები".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ავთანდილ სტურუა მოურიდებელია შეფასებისას, როცა ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიურ მოვლენებს ორ ახსნას უძებნის: პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებით ან თვით ხელისუფლებაა დაინტერესებული, ან არადა, უუნაროა, მსგავსი ქმედებები შეაჩეროს. "თვითმმართველობა ხალხს" პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თქმით, კადრების გამოქვეყნება "წარუმატებელი ხელისუფლების ერთგვარი ტესტია: "სამარცხვინო ფაქტია, უნდა დაისაჯოს დამამზადებელიც და გამავრცელებელიც. თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამ საქმის სრულფასოვნად გამოძიებას, მაშინ ყველას გაგვიჩნდება ლოგიკური კითხვა, თვით ხელისუფლება ხომ არ არის დაინტერესებული ასეთი ფაილების გავრცელებით? ან მეორე საკითხია, ხელისუფლება არის უუნარო. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საზოგადოებას კიდევ ერთხელ არ შეაყრიან ნაცარს თვალებში და არ იქნება ისეთივე დასკვნა, როგორც იყო ე. წ. "ჰაკიმ ფაშას" ვიდეომიმართვის სიტუაციაში. მე მიმაჩნია რომ ამ წარუმატებელი ხელისუფლების ერთგვარი ტესტია იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ქვეყანას ჰყავს თუ არა ხელისუფლება".

თვალთვალისა და ფსიქოლოგიური ტერორის ობიექტებად ადამიანების გადაქცევას საზოგადოების უმეტესი ნაწილი "ნაციონალურ მოძრაობასთან" აიგივებს, რადგან სწორედ მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა ასეულობით ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ვედეოების გადაღება. დასახელდნენ კონკრეტული პირები, თუმცა დასჯით არავინ დაუსჯიათ. დაუსჯელობის შედეგია ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. განურჩევლად თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა, გივი ღაღანიძის მოწოდებაა, წინ აღვუდგეთ მსგავს სისაძაგლეს: "პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გავრცელება, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება თამამად გითხრათ, რომ უპრეცედენტო შემთხვევაა იმ ფონზე, როცა ამ მთავრობამ მოსვლისას მთავარ ამოცანად დაისახა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამ ფაქტებს ყველაზე სწორი და გაბედული შეფასება მისცა ინგა გრიგოლიამ, რომელმაც "მორალურ ტერორად" აღიარა და იგი ანკარის ტერაქტს შეადარა. ვინ დგას ამის უკან? აქ მრავალი ვერსია შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ ამის მთავარი შემკვეთი და მომხმარებელიც არის რუსეთი, რომელიც გამუდმებით ცდილობს, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს რომ ჩვენ ვართ შეუმდგარი ქვეყანა და საზოგადოება და არ ვართ მზად ევროინტეგრაციისათვის. სხვა ვიღაცეები _ გადამღები, შემნახველი და გამავრცელებელი უბრალოდ რუსეთის ნებსით თუ უნებლიედ შემსრულებლები არიან. რა უნდა გავაკეთოთ? ყველა ადამიანი განურჩევლად თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა უნდა წინ აღუდგეს ამ სისაძაგლეს, თორემ თავზე საბოლოოდ დაგვემხობა ჩვენი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ჩვენი საერთო მონაპოვარია და ყველას განურჩევლად პასუხი ვაგებინოთ ამ სიბინძურეზე".

როგორ მტრულ გარემოცვაში არ უნდა იყოს, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ადამიანი და მისი უფლებები. ამისთვის კი კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია გამოააშკარაოს დამნაშავე და სათანადოდ დასაჯოს. "კომპრომისი დანაშაულის ტოლფასია". _ ამ აზრზეა "რესპუბლიკელების" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, იმედა გოგავა: "ერთმნიშვნელოვნად მინდა განვაცხადო, რომ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება და ამით შანტაჟი ყველაზე მდაბიო, ამორალური და კრიმინალური საქციელია. სახელმწიფო ვალდებულია, ყველაფერი გააკეთოს, რომ დამნაშავეები გამოააშკარაოს და უმკაცრესად დასაჯოს. ამაზე თვალის დახუჭვა, წაყრუება და იგნორირება არ გამოვა! ადამიანი და მისი უფლებები არის ყველაზე მთავარი, ხელშეუხებელი და ამის გარანტი უნდა იყოს სახელმწიფო, აქ რაიმე კომპრომისი დანაშაულის ტოლფასია."

აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ!

თეა ბაბუნაშვილი

ქართული პოლიტიკის ქრონიკები კარგად იცნობს პარლამენტის დარბაზში მოქნეული მუშტის გემოს. ეს არახალია და სატირლად ქცევაც ვერ მოასწრო, ისე გახდა სასაცილო. სამტრედიული პოლიტიკა, ქართული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, გამხოლოდ მამუკა ბიბილეიშვილი შეუერთდა კოლეგებს მობოდიშებით. სხდომიდან რამდენიმე დღის მერე კი, შედარებით დამცხრალი ემოციებით განაცხადა: "ზოგადად "ნაციონალებს" ამ პიროვნებასთან დაპირისპირების მიზეზი ბევრი გვაქვს მისი ამ პარტიაში მოღვაწეობიდან გამომდინარე. საკრებულოს იმ სხდომაზე მან ტყუილი თქვა." ამ ტყუილს კი სიმართლედ მამუკა ბიბილეიშვილი ასე ჰყვება: "2009 წლის დეკემბერში, არ მახსოვს 29 თუ 30 რიცხვში, ეკონომიკის სამინისტრომ ადგილობრივი ხელისუფლების გვერდის ავლით, სამტრედიაში მის ბალანსზე რიცხული საკმაოდ დიდი ფართი აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. იგი ცენტრალური ბიბლიოთეკა აღმოჩნდა. საქმის კურსში როგორც იმერეთის მაშინდელი გუბერნატორი გოჩა ჩოგოვაძე, ისე სამტრედიის მაჟორიტარი ავთანდილ სტურუა ჩავაყენეთ. იმ პერიოდში სამტრედიის გამგებელი კახა უჯმაჯურიძე, მე კი მოადგილე გახლდით. მაჟორიტარს რეაქცია არ ჰქონია, თითი არ გაუნძრევია ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ, მაშინ, როცა სამინისტროში ჩვენი გაგზავნილი წერილის საფუძველზე აუქციონი ჯერ შეჩერდა, ხოლო შემდგომი ძალისხმევით ტერიტორია ადგილობრივ ბალანსზე გადმოვიდა და გაყიდვას გადარჩა. იმ პერიოდში ბიბლიოთეკა რგფ-ის პროგრამით სარემონტოდ გვქონდა ჩასმული. ავთანდილ სტურუამ ეს ფაქტი საკუთარ თავს მიაწერა და ჩვენ დაგვადანაშაულა მისი გაყიდვის მცდელობაში."

ამბავი, თავის დროზე ადგილობრივი ინტელიგენციის აღშფოთება რომ გამოიწვია, დღესაც ახსოვთ სამტრედიაში. აქვე ისიც, რომ მყიდველი ის პიროვნება გახლდათ, "ვისიც არ ითქმის სახელი", თუმცა, იგი ყველამ იცის. საუბრისას ამ წერილის ავტორმა გვარიც დაუსახელა ბიბილეიშვილს, მაგრამ რადგან დოკუმენტალურად ამას ვერც ერთი ვამტკიცებთ, ხმამაღლა არ ვასახელებთ, და უკვე არც არის საჭირო, რადგან გვარი ყველასთვის ცნობილია, საქმე კი ჩავლილი.

კითხვაზე, უკმაყოფილების მიზეზებს, საუბრის დასაწყისში რომ ახსენა, ავთანდილ სტურუას მისი პარტიაში ყოფნის დროს თუ ეუბნებოდნენ, მამუკა ბიბილეიშვილი პასუხობს: "ვეუბნებოდით კი არა, 2010 წელს ჩემი მასთან დაპირისპირების მიზეზი სწორედ ეს იყო. ამის გამო თანამდებობაც კი დავტოვე. იგი, როგორც დღეს ეძებს საკუთარი ცუდი ქმედებების კარგად შესაფუთ გზებს, ისე მოქმედებდა მაშინაც." და რას აპირებს მამუკა ბიბილეიშვილი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიულ გუნდთან ერთად: "პიროვნულად არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ ვაპატიო! მაგრამ ვითვალისწინებ, რომ ჩემს უკან დგას ჩემი გუნდი. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია მათი და პარტიის ინტერესები, ისიც, რომ პოლიტიკაში ყოფნა სერიოზული საქმეა და არც იმ ასაკში ვარ, იგი მუშტი-კრივის არენა გავხადო. დავაკვირდებით ოპონენტის გადმოდგმულ ნაბიჯებს. მას კანონის ფარგლებში საკადრის პასუხს გავცემთ. ეს ადამიანი უკვე წასულია ჩვენგან. იგი 9 წლის მანძილზე ამ პარტიის წევრი იყო, უფრო სწორად, 2014 წლამდე მის წევრად ითვლებოდა. "ნაციონალურმა მოძრაობამ" გახადა სამჯერ მუნიციპალიტეტის გამგებელი და ერთხელ პარლამენტარი. დღეს კი, ავბედითი 9 წელიო, ამბობს.

2012 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ "ნაციონალური" 9 წლის ავბედითობის დამნახველს არაერთს შეხვდებით. ისიც არახალია, რომ ეს ტენდენცია მოდასავით ბრუნავს. ამიტომ არც ისაა გასაკვირი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, მწვავედ დაციდენტი არასდროს არ არის მისაღები. მე რა გავაკეთე, როგორ და როდის, მთელმა სამტრედიამ იცის. ჰკითხეთ თუნდაც ბიბლიოთეკის დირექტორს." კითხვაზე, 9 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ საკუთარი საჭიროების შემთხვევაში, მოსინჯავს თუ არა ძალებს "ნაციონალურ მოძრაობასთან" ერთად, იგი პასუხობს: "ადამიანების შეხედულებები არ შეიძლება ყველაფერში ერთმანეთს ემთხვეოდეს. პროტესტი ხშირად მქონდა. სანამ ასატანი იყო სიტუაცია, ავიტანე. აუტანელი რომ გახდა, წამოვედი!"

ამჯერად ლოგიკური კითხვა _ იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, სადაც დღესაა გაერთიანებული, ყველაფერი მისაღებია მისთვის, ავთანდილ სტურუას დავუსვით. როგორც აღმოჩნდა შევცდით: "თქვენ ცდებით! მე არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ წარმოვადგენ. ვარ დამოუკიდებელი დეპუტატი. ერთ-ერთი პარტიიდან, "თვითმმართველობა ხალხს", რომელიც ქაღალდზე შექმნილი პოლიტიკური ბლოკი იყო, ვიყარე კენჭი. მოგეხსენებათ, კანონის მიხედვით, რომელიმე საარჩევნო ბლოკიდან უნდა მეყარა კენჭი. ჩვენი ურთიერთობები არჩევნების დღეს 12 საათზე დამთავრდა. ამჟამად მე დამოუკიდებელი დეპუტატი გახლავართ."

ეს დაპირისპირებული მხარეების _ აბა, მოჩხუბრებს ხომ არ დავწერთ, არგუმენტები და კონტრარგუმენტებია. საზოგადოების კომენტარი ერთი სამტრედიელის ფრაზით შეიძლება თქვა: "ღმერთო, უარესს ნუ მოგვასწრებ, ისე მიგვიყვანე მომავალ არჩევნებამდე!" სხვათა შორის, როგორც თავად გვითხრა, იგი წინა არჩევნებზე ძალიან აქტიურობდა, თუმცა, რომელი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, ამ წერილში არც "მისი ითქმის სახელი". აქვე ერთი ფრაზაც, რომელიც შემომაშველეს _ "აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ!" თუმცა, მომხდარი ფაქტი კინოფილმს, საიდანაც ეს ფრაზაა, დაუვიწყარი კადრებით ჰგავს მხოლოდ!

სხვათა შორის, საკრებულოს დარბაზში, სადაც საკრებულოს შემადგენლობის პირველი შეკრებიდან დღემდე ვერ შეიძინეს, არადა საჭიროა, ხმის გამაძლიერებელი, დღესაც დგას ის მაგიდა, ჩხუბის დროს "თავი რომ გაუტეხეს". სამაგიეროდ, დეპუტატების გვარ-სახელების აღმნიშვნელი საკმაოდ პრესტიჟული და ძვირადღირებული აბრები ამაყად მოსჩანს მაგიდებზე.

მოქნეულ-მოუზომავი საკრებულოს დღის წესრიგში

ნაკუთრებით გასაოცარი სინამდვილით ყოველთვის გამოირჩეოდა. თუმცა, ის, რაც საკრებულოს ბოლო სხდომაზე მოხდა, ნამდვილად პირველია ადგილობრივი პოლიტიკის რარიტეტებში. სხვათა შორის, რაც კიდევ უფრო გასაკვირია ქართული ხასიათისთვის, იმ ჩხუბში გამშველებელი გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ირონიულად მომღიმარი გაწევგამოწევისას დარბაზში, შემდეგ კი საკრებულოს დერეფანში. ამ სიტყვების გაგრძელებად ვინმესთვის ვაჟკაცობის შეხსენებას, უბრალოდ, ტაქტის გამო არ ვაპირებთ.

საჩუქრად გამზადებული მაცივრის არ იყოს, ამ ქალაქში რა, ან რატომ დაიმალება. საკრებულოში ერთმანეთს დარევიანო, ქუჩაში საუბრის თემა მალევე გახდა. ყოფილ და დღემდე "ნაციონალებს" შორის შეხლა-შემოხლა სხდომაზე მოულოდნელად მოხდა. საჩხუბარი პირი არ უჩანდაო, თვითმხილველებმა უმრავლესობიდან. იგივე უმრავლესობა იმასაც ვარაუდობს, "ნაციონალები" ის ხალხი არ არიან, ვინმეს თავში წამორტყმა შეარჩინონო. ვინ ვის და რას შეარჩენს, ან არ შეარჩენს, მიახლოებით, მოჩხუბართა კომენტარებიდან გაირკვევა. პათოსით მათ შორის დიდ გულზე მყოფიც შეიძლება გამოიცნოთ.

საკრებულოს წევრების, ავთანდილ სტურუასა და მამუკა ბიბილეიშვილის ფიზიკურ დაპირისპირებაზე საზოგადოებამაც იცის და ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც შედარებით დელიკატურად გაუწყეთ. ერთ-ერთი საკითხის განხილვისას, "ნაციონალმა" მამუკა ბიბილეიშვილმა, ყოფილ "ნაციონალს" და დღევანდელ დამოუკიდებელ დეპუტატ ავთანდილ სტურუას, 2008 წელს ცენტრალური ბიბლიოთეკის გაყიდვისას მისი უმოქმედობა შეახსენა. მაშინ ავთანდილ სტურუა პარლამენტარი გახლდათ, მამუკა ბიბილეიშვილი კი გამგებლის მოადგილე. ჩხუბის თავი ამის შემდეგ გახდა აწ უკვე ყოფილი პარლამენტარი. არც მამუკა ბიბილეიშვილმა შეარჩინა ხელი. ერთი დამტვრეული მაგიდა და რეაქტიული სიჩქარით განხილული დღის წესრიგის დანარჩენი საკითხები, იმ სხდომის რეზულტატია. დარბაზი ორივე ნაჩხუბარმა დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ, ფიზიკურ დაპირისპირებაზე საზოგადოებამ ეს ამბავი ინტერნეტ-სივრცეში ინფორმაციულ ბანერად ასეთი ფორმით ამოიტვიფრა: "ბურჯანაძე-დემოკრატების" ბანერი ბიბლიოთეკის ეზოში ჩამოიტანეს, ბანერზე ეწერ

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა

ჟურნალისტიკის გზაზე

ქეთევან ჭელიძე

21 მარტი _ დღე, რომელიც განსაკუთრებით აგალაპარაკებს საკუთარ პროფესიაზე. მის მნიშვნელობაზე დაგაფიქრებს, ინფორმაციებით ასე გაჯერებულ სივრცეში.

ძველი სტილით 8, ახლით კი 21 მარტს პირველად ქართული "საქართველოს გაზეთი" გამოვიდა. 1993 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციამ და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთობლივად გადაწყვიტეს, ქართული ჟურნალისტიკის დღე სწორედ 21 მარტს დაეწესებინათ.

ძალიან მოდური და მოთხოვნადი პროფესია გვაქვს. საგაზეთო წერილს ხელს აწერდე ან ცისფერი ეკრანიდან მიკროფონით ცხელ-ცხელ ამბებს ამცნობდე ქვეყანას, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად ბევრის ახდენილ სურვილად იქცა. ამიტომაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დედამიწაზე ყველაზე მეტი ჟურნალისტი საქართველოშია.

ცოდნა, გამოცდილება, კვალიფიკაცია, რაც კარგი ჟურნალისტობისთვის არის საჭირო, როგორც ნებისმიერ სხვა სფეროში, ხშირად აქაც მეორე ადგილზეა. მთავარია აღმოაჩინო, რომ "უმოკლესი გზა" თავის გამოსაჩენად ჟურნალისტიკაზე გადის. კომპეტენტური ჟურნალისტის შეგონება კი ასეთ დროს რაღა ყურადსაღებია: "თუ თავის გამოჩენა გსურთ, ნუ ეცდებით თავის გამოჩენას".

თავის გამოჩენის თუ კიდევ სხვა მიზეზებისა და მიზნების გამო, გვახსოვს, უახლოეს წარსულში საქართველოში სხვადასხვა დასახელების 400-ზე მეტი გაზეთი და 200-ზე მეტი ჟურნალი გამოდიოდა. და კიდევ, 100-ზე მეტი ტელე და რადიოკომპანია მაუწყებლობდა.

მკითხველთა დიდი ნაწილი თავისუფლების წყურვილს ყვითელი პრესით იკლავდა. ამგვარ ჟურნალ-გაზეთებს დღესაც საკმაოდ ჰყავს აუდიტორია, თუმცა, ინტელექტუალურ საზოგადოებას პრესისა და ზოგადად, მასმედიის მიმართ, მაშინაც და დღესაც, სულ სხვა მოთხოვნები აქვს. ტექნიკურ პროგრესს სავსებით არა, მაგრამ ელექტრონული მედია უპირატესობისაკენ მიჰყავს. ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების ფუნქცია წაართვა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, გაზეთს მეტი შესაძლებლობები გააჩნია სერიოზული მკითხველის გემოვნების დასაკმაყოფილებლად. მომავალში რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს. ამჟამად კი, ჟურნალისტიკა თავის უპირობო მოთხოვნებს უყენებს პრესას და ტელევიზიას, იღებს კანონს და ცდილობს მის გაკეთილშობილებას, მისი უფლებების დაცვას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. ჟურნალისტები ყველგან ახერხებენ წვდომას _ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ. თემებით აჭრელებულია პრესა და ტელევიზია. ჟურნალისტები ვერ ცვლიან სამყაროს, მაგრამ მათ შემცვლელებს ნამდვილად სჭირდებათ ისინი. საკომუნიკაციო ქსელი ხილულს ხდის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში არსებულ ფაქტებს თუ მოვლენებს. საჭირო, მაგრამ "მომაბეზრებელი" ჟურნალისტები საინტერესოს ხდიან ცხოვრებას. სააშკარაოზე გამოაქვთ ნაკლიც და კარგი საქმეებიც. მათ გმირობაც შეუძლიათ, იბრძვიან უკეთესობისთვის და ზოგჯერ საკუთარ სისხლსაც ღვრიან. თავისი პატარა-პატარა საინფორმაციო ბრძოლის ველი ყველა ჟურნალისტს აქვს. ინფორმაციის მოპოვება, სიტყვასთან ჭიდილი, აზრის გამოხატვა არცთუ იოლი საქმეა. მერე მისი მიტანა მკითხველამდე ისე, მართალს არ ავნო და ნეგატიური სააშკარაოზე გამოიტანო.

აკი, ვთქვი, 21 მარტი შენს პროფესიაზე აგალაპარაკებს-მეთქი და მეც წერტილი ვეღარ დავსვი. ცოდვაა საკუთარ უცოდველობაზე საუბარი, მაგრამ ვთვლი, რომ ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპებისათვის არასოდეს უღალატია "სამტრედიის მაცნეს". ბევრი იცხოვრა, გამოცდილებაც დაუგროვდა და კომპეტენციაც. მაქებარიც ჰყავს და გამკრიტიკებელიც, მაგრამ თავის კიდევ ერთ დღესასწაულს თავაწეული ხვდება, რადგან არასოდეს მოუტყუებია მკითხველი. უცდით, სიმართლის სათქმელად გაღებული პირი ბევრჯერ ამოუკერათ მისთვის. დღეს სიტუაცია შეიცვალა და თავისუფლება გარანტიად იქცა, ცდილობს, ავზე ავი თქვას და კარგზე _ კარგი. ჩვეულებრივ, ბევრი გადაუჭრელი საკითხი მასაც აქვს, რაც უკეთესად მუშაობაში ხელს უშლის. გლობალურს დავარქმევთ ამას თუ პროვინციულს, მაინც სხვის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

პროფესიულ დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო კოლეგებო, უფრო უკეთესად და უფრო საინტერესოდ გვევლოს გზაზე, რომელსაც ჟურნალისტიკა ჰქვია!

ეს ჩვენ ვართ, ჟურნალისტები

ლევან გაბეჩავა

ჩვენი საინტერესო, საყვარელი საქმიანობით, პრობლემებით, დარდით, ტკივილით, სიხარულით, მონიჭებული ფართო, თუმცა... უფლებებით.

დღეს ჩვენი დღეა!

21 მარტს ქართველი ჟურნალისტები პროფესიულ დღეს აღნიშნავენ.

ბევრი გვილოცავს!

ბევრს ვუყვარვართ!

ბევრი გულს გვტკენს!

ბევრი, ბევრჯერ...

სხვებისგან არაფრით გამოვირჩევით, ისევე გვტკივა ერისა და ქვეყნის სატკივარი, როგორც სხვებს: ხარატს, მკერავს, ექიმს, აგრონომს, მეცნიერს, ხაბაზს, ხარაზს, პოლიტიკოსს...

ერთი სიტყვით, ჩვენი საზოგადოების რიგითი, ჩვეულებრივი წევრები ვართ, სისხლი სისხლთაგანი, ხორცი _ ხორცთაგანი.

"ამისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებითა და ჭორებით თავის გატანა ყველა უადრისობაზე უსაძაგლესია", _ საუკუნის წინათ დაგვმოძღვრა ერის სულიერმა მამამ ამ სიტყვებით, თითოეული ქართველი ჟურნალისტის ერთგვარ სამოქმედო პროგრამად რომ იქცა დღიდან მოწოდებისა.

თითქმის ორასწლიანი სახელოვანი ისტორია აქვს ეროვნულ ჟურნალისტიკას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კავკასიაშიც კი არ არსებობდა გაზეთი, 1819 წლის 8 მარტს თბილისში პირველი ქართულენოვანი გამოცემა "საქართველოს გაზეთის" პირველი ნომერი დაიბეჭდა, რომელიც 1821 წლამდე გამოდიოდა, შემდეგ კი უსახსრობის გამო დაიხურა.

მეორე ქართულენოვანი გაზეთი "ტფილისის უწყებანი" 1828-1832 წლებში გამოიცემოდა.

პირველი ქართულენოვანი ჟურნალი "სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი" 1832 წელს დაარსდა.

ივანე კერესელიძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი... ეს ის მამულიშვილები იყვნენ, რომელთა შორისაც დაიბადა იდეა ახალი ქართული ჟურნალის გამოცემის თაობაზე.

1852 წელს დაარსდა ჟურნალი "ცისკარი".

1863 წელი, დაიბადა ჟურნალი "საქართველოს მოამბე". ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გაზეთებმა "დროებამ" და "ივერიამ".

1904 წელს მარიამ დემურიას რედაქტორობით გამოსვლა დაიწყო საბავშვო ჟურნალმა "ნაკადულმა". ჟურნალმა 1927 წლამდე იარსება და დიდი წვლილი შეიტანა ნორჩი თაობის ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

სალიტერატურო გამოცემებიდან აღსანიშნავია ჟურნალი "ცისფერყანწელები".

სატირულ-იუმორისტული ჟანრის განვითარებას ეროვნულ პერიოდიკაში საფუძველი დაედო 1907 წელს აკაკი წერეთლის მიერ გამოცემული ჟურნალით "ხუმარა".

დღეს საქართველოს ამერ-იმერში, მთასა და ბარში ასობით ჟურნალ-გაზეთი გამოდის, თითოეული მათგანისათვის კი კოლოსალური შრომა, ენერგია, ძალისხმევაა საჭირო.


საქართველოს გაზეთი
No. I.

საამაყოა, რომ სამტრედიაში, მუნიციპალიტეტში, დაარსებიდან 145 წელი ეს-ესაა, რომ აღნიშნა, თითქმის 86 წელია გამოდის გაზეთი, რომლის 85 წლის იუბილე გასული წლის ნოემბრის დასაწყისში ვიზეიმეთ.

ქართული ჟურნალისტიკის დღეა 21 მარტი.

გილოცავთ!

მე და მამა

სასაუბრო თემა მოზარდებმა შეარჩიეს. ეს ის ადგილია, ზედმიწევნით რომ ამართლებს საკუთარ სახელწოდებას. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლზე მოგახსენებთ. "ჩემი, შენი, ჩვენი სახლი", _ ამ სიტყვებით მასპინძლობენ ყოველ სტუმარს.

11 მარტსაც ჩვეული მონდომებით ფუსფუსებდნენ მოსწავლეთა პარლამენტის წევრები, სახელდახელოდ შეკრებილ აუდიტორიას მადლობა გადაუხადეს მობრძანებისთვის და სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელებს თავიანთი მოსაზრებები გააცნეს:

"ისტორიიდანაც გვახსოვს, დღევანდელობაშიც მრავლადაა ფაქტები შვილსა და მშობელს შორის დამოკიდებულებისა. ორი თაობა ხშირად ვერ ათანხმებს პოზიციებს, შეხედულებებს, ზოგადად _ ფასეულობებს, ღირებულებებს. ჩვენი თავშეყრის ძირითადი მოტივია, თანატოლთაგან შევიტყოთ, რა აწუხებთ, როგორ პოულობენ უფროსებთან საერთო ენას და როგორ უგებენ მათ მშობლები, კონკრეტულად კი მამები".

_ ვცდილობთ, მოსწავლეები ჩავრთოთ საჯარო განხილვაში. ამით ისინი არა მარტო საერთო საქმეს შეუწყობენ ხელს, არამედ დაეუფლებიან პირადი დამოკიდებულების გახმიანების კულტურას. _ აღნიშნა ქალბატონმა ელიკო ანკვაბმა.

პედაგოგებმა: ლუიზა მიქაუტაძემ, ნელი ცეცხლაძემ წამოწყება მოუწონეს და სამომავლო მხარდაჭერა აღუთქვეს შეხვედრის ორგანიზატორებს.

გურამ კურეტიშვილი, გიორგი ქავთარია, თეონა ლორია, ნინო ყაჭეიშვილი, ქეთი აბრამიშვილი, ანა კვეტენაძე, მარიამ ქუთათელაძე, თამუნა ჯინჭველეიშვილი, დავით ჯოჯუა... ეს იმ მოსწავლეთა არასრული ჩამონათვალია, აქტიურობით, საინტერესო საუბრით რომ დაგვამახსოვრეს თავი.

დასასრულს ბატონმა მამუკა მხეიძემ ითხოვა სიტყვა: "21-ე საუკუნეში, როცა ქალები უცხოეთში არიან გადახვეწილნი, მამას მეტად საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა. უნდა ვიყოთ შემწყნარებლები, ანგარიში გავუწიოთ ერთმანეთს. გახსოვდეთ, უმთავრესი სიყვარული და პატივისცემაა".

შოთა კაკაბა

ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლება მაინც ჩვენ ვართ, მეოთხე!

თეა ბაბუნაშვილი

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღედ პირველი ქართული პერიოდული გამოცემის ამ თვესა და რიცხვში გამოსვლამ აქცია.

მას მერე ცხოვრობს ქართული ჟურნალისტიკა ისე, როგორც ცხოვრობს და დღემდე _ საზოგადოების მაჯისცემას, ფეხის ხმას, ჭორ-მართალს აყოლილი, პროფესიონალიზმისა და უვიცობის, მიკერძოებისა და სამართლიანობის ნაზავით მიიკვლევს გზას. იგი ისეთია, როგორიც საზოგადოება, ჭრელი, განათლებული და გაუნათლებელი.

იმაზე, რასაც პროფესიონალ კოლეგას ვკითხავდი, დღევანდელ ჩვენს რესპონდენტს...

არა, ბატონებო, ამჯერად ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე! ნინო თარგამაძეს ვესაუბრე, ჩემს კურსელს, ჯგუფელს, სამტრედიელს, ნიგორზღვის მკვიდრს. ჟურნალისტური ნათლობა აქ გვქონდა, "სამტრედიის მაცნეში". ამ გაზეთმა გვაგრძნობინა პირველი წერილის ქვეშ მოწერილი ჩვენი გვარ-სახელით აღფრთოვანება. მერე ნინო წავიდა, მე დავრჩი. მისი წარმატებების შესახებ მესმოდა და მესმის. მესმის და მახარებს. უკეთესი იქნებოდა, პირისპირ გვესაუბრა, თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიებს წინ რა დაუდგება.

მივწერ-მოვწერეთ. 21 მარტისთვის საუბარი პროფესიულად დატვირთული გამოგვივიდა. ერთმანეთი ქებით გავაწითლეთ კიდეც. ნინოს შემოხვევაში ქება დამსახურებულია. ამ ინტერვიუდანაც დარწმუნდებით, რომ არ ვცდები. გადამეტებული სენტიმენტალიზმი არ მიყვარსო, მაგრამ რა ვქნა, მასზე სენტიმენტების გარეშე ვერ ვსაუბრობ. პროფესიულად ძალიან გაზრდილა ჩემი მეგობარი. "დიდ ავიაციაში" ყოფნა აშკარად ეტყობა.

გირჩევთ წაიკითხოთ ზედმეტი ჟურნალისტური ამბიციებისაგან თავისუფალი ეს ინტერვიუ, არა ავტორის, არამედ რესპონდენტის გამო და რაც მთავარია, თქვენივე სიამოვნებისთვის.

_ "სამტრედიის მაცნეში" პრაქტიკანტობის შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, "ახალგაზრდული პრესდაიჯესტი" იყო ის გაზეთი, სადაც ძალები მოსინჯე. ამ გადმოსახედიდან როგორ გახსენდება პროფესიული გზის დასაწყისი რედაქტორის ამპლუაში?

_ უნივერსიტეტის შემდეგ ეს ჩემი პირველი პროფესიული გამოცდილება იყო. უკვე დიდი დრო გავიდა და ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, დებიუტანტის კვალობაზე არა უშავდა. თუმცა, შეცდომები იყო. გაზეთი ძირითადად ახალგაზრდული ენთუზიაზმის ხარჯზე კეთდებოდა, მცირე ადამიანური და ტექნიკური რესურსით. რადგან მაქსიმალისტი ვარ, მგონია, რომ უკეთესიც შეიძლებოდა. ასეა თუ ისე, რაღაც ვისწავლე, იმედი მაქვს, ჩემი საშუალებით სხვებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა, ცოტა მაინც ესწავლათ.

_ სად და რა პოზიციაზე გაგრძელდა "ახალგაზრდული პრესდაიჯესტით" დაწყებული გზა?

_ ბოლო ათი წელია, საზოგადოებრივ მაუწყებელში ვმუშაობ, პირველ არხზე საინფორმაციო და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გადაცემების პროდიუსერი გახლავართ. მანამდე ვმუშაობდი პრესაში, რადიოში, დოკუმენტური ფილმების სტუდიაში. საინფორმაციო სააგენტოს გარდა, მედიის ყველა სფეროში მოვსინჯე ძალები.

_ პროფესიულ თემებზე ჩვენი საუბრის მიზეზი, ქართული ჟურნალისტიკის დღეა. მის ნაკლოვანებსა და ღირსებებს შევეხოთ თანაკურსელი და თანაჯგუფელი კოლეგები.

_ მთავარი ნაკლოვანება თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკისა, პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი მგონია. ცხადია, ეს ყველას არ ეხება. ეს თავისთავად ხდება სხვა პრობლემების გავრცელების სათავეც _ მედიასტანდარტების დარღვევის, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების... ღირსება კი თავისუფლების ის ხარისხია, რომელიც დღეს ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იყო. ის, რომ მედიამ იცის თავისუფლების ფასი, უკვე ბევრს ნიშნავს.

_ გარკვეულწილად, ძალაუფლება არის ჟურნალისტების ხელში. ხშირად ისინი იმაზე მეტის უფლებას ხომ არ აძლევენ საკუთარ თავს, ვიდრე აქვთ?

_ ეს, ალბათ, ინდივიდუალურია. ცუდი ჟურნალისტები მხოლოდ ძალაუფლებას გრძნობენ, პროფესიონალებს კი საკუთარ ძალასთან ერთად სხვისი უფლებაც უნდა ახსოვდეთ. მეოთხე ხელისუფლების წოდება მხოლოდ ძალაუფლებას ხომ არ ნიშნავს... მითი, რომ ჟურნალისტობა ადვილი საქმეა, რომ მიკროფონი ან დიქტოფონი უკვე პროფესიულ ხარისხს ანიჭებს ვინმეს, იმედია, უკვე დაიმსხვრა, ან თანდათანობით დაიმსხვრევა. მედიას, ცხადია, აქვს ძალაუფლება, მაგრამ მისი ბოროტად გამოყენება ისეთივე ცუდ შედეგს გვაძლევს, როგორსაც ვიღებთ მაშინ, როცა პირველი სამი ხელისუფლება იყენებს ძალაუფლებას ბოროტად. რაღაც ეტაპზე, როცა ვიწყებთ, შეიძლება, ყველა ვფიქრობთ, რომ უსაზღვრო უფლებები გვაქვს. მერე გამოცდილებას მოაქვს ცოდნა იმისა, რომ უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც გვაქვს.

_ და მაინც, ჰქვია ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლება. პრაქტიკულად არის თუ არა იგი მეოთხე?

მედია მეოთხე ხელისუფლება რაღაც ხარისხით, ალბათ, არის. ვაშუქებთ პირველი სამი ხელისუფლების საქმიანობას, ვარკვევთ საზოგადოების ინტერესებს, სხვებზე მეტად გვაქვს კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ხშირად ადამიანები ჩვენგან კონკრეტული პრობლემების მოგვარებაშიც ითხოვენ დახმარებას. თან ჩვენც ხომ გვირჩევენ... ან ვლახავთ ბარიერს, ან ვერა. ტელევიზიის შემთხვევაში საარჩევნო ბარიერი მარტივია, მხოლოდ პულტი. საარჩევნო კომისიის წევრია ყველა ის ადამიანი, ვისაც სახლში ტელევიზორი აქვს. უბრალოდ, ეს ხდება არა ოთხ წელიწადში ერთხელ. შეიძლება უფრო ადრე, შეიძლება უფრო დიდხანს ვიყოთ "ხელისუფლებაში", მაგრამ არ იყოს "ძალაუფლების უზურპაცია" და "დიქტატურა." როცა ჩვენი ამომრჩეველი უარს ამბობს ჩვენზე _ გადაცემაზე ან გაზეთზე _ ვცდილობთ, მას სხვა გადაცემა, სხვა წერილი შევთავაზოთ. მე მგონი, ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლება მაინც ჩვენ ვართ.

_ რამდენად თავისუფალია დღეს ქართული მედია, თუნდაც ბოლო დროს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების ფონზე. და საერთოდ, რას ნიშნავს თავისუფლება ჟურნალისტიკაში, სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და "ყველაფრის უფლებას" შორის?

_ ხელისუფლების პირდაპირი გავლენისა და ზეწოლისაგან, ჩემი შეფასებით, თავისუფალია. ფინანსური, კომერციული ან სხვა ტიპის გავლენებისგან _ ნაკლებად! თუმცა, კერძო მედია კომპანიების შემთხვევაში ეს ბუნებრივიცაა. მთავარია, რომ ამ ინტერესების გამო, მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი არ მოვატყუოთ. ცხადია, თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს. პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებას ვერაფრით დავაკავშირებ მედიის თავისუფლებასთან. კიდევ კარგი, მცირე გამონაკლისის გარდა, მედიას ამ კადრების ტირაჟირება არ მოუხდენია, თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინტერნეტ-რესურსების ეპოქაში ძალიან რთულია, მთლიანად დაიბლოკოს წვდომა უკანონო ჩანაწერებზე. მგონია, რომ ჩვენთან, მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ნორმალურია, ის არ გულისხმობს ზედმეტ შეზღუდვებს. თავად მედია საშუალება წყვეტს, როგორ იყენებს ამ თავისუფლებას. საზოგადოებრივ მაუწყებელს საკუთარი ეთიკის კოდექსიც აქვს და შემიძლია ვთქვა, რომ ეს დამატებით ბარიერად სულაც არ მიმაჩნია. მე პირადად მირჩევნია ვთქვა სხვაზე გვიან, მაგრამ ვთქვა დაზუსტებით.

_ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ რამდენადმე უკანა პლანზე გადასწია პრესა, თუ დღემდე რჩება იგი ჟურნალისტიკის ხერხემლად?

ბეჭდური მედიის გავლენა, ალბათ, შეამცირა ელექტრონული მედიის განვითარებამ, მაგრამ პრესის ჩანაცვლება წარმოუდგენელი მგონია. დარწმუნებული ვარ, ელექტრონული წიგნები ვერ შეცვლიან ჩვეულებრივ წიგნებს. წიგნის, ისევე როგორც გაზეთის, კითხვა ერთგვარი რიტუალია, რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ინფორმაციის მიღება. მთავარია, რომ ბეჭდური მედია მუდმივად ვითარდებოდეს. ბევრი მაგალითია, როცა ტელევიზია სიუჟეტს სწორედ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით აკეთებს. ზოგჯერ გაზეთს უბრალოდ მხოლოდ იმიტომ კითხულობ, რომ კონკრეტული ავტორი, მისი წერის მანერა მოგწონს, ან რესპონდენტია საინტერესო, ან თხრობის სტილი. ჩემთვის მედია მაინც პრესიდან იწყება. შეიძლება შაბლონია, მაგრამ თუ ადამიანს წერა შეუძლია, სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა ადვილია.

_ რა უნდა განსაზღვრავდეს და რა განსაზღვრავს დღეს ჟურნალისტის, მედია გამოცემის და სატელევიზიო არხის პოპულარობას და რეიტინგს?

სანდოობა და პროფესიონალიზმი. ჩემთვის იდეალურია მედია, რომლის გავრცელებულ ინფორმაციაზე არავის უწნდება კითხვა: ნეტავ მართლა ასეა თუ არა? "ბიბისის" სტანდარტებზე ამბობენ, მისმა ჟურნალისტმა კამერით შენობის ჩამონგრევა რომ გადაიღოს, ვიდრე სეისმოლოგი, მაშველი და დაზარალებული, მინიმუმ, სამი წყარო არ დაუდასტურებს ამ ფაქტს, ინფორმაციას ეთერში არ გადასცემსო. ცხადია, ეს უტრირებაა და ასეთი სტანდარტების მიუხედავად, "ბიბისის" ჟურნალისტებსაც ჰქონიათ გადაცდომები, მაგრამ ეს სტანდარტი და შეცდომებზე ადეკვატური რეაგირება აქცევს მას ყველაზე სანდო მედია საშუალებად. სამწუხაროდ, დღეს პოპულარობას უფრო სკანდალური და ხმაურიანი თემები განსაზღვრავს. არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ მედიის სიყვითლე თანამედროვეობის დაკვეთაა, რომ ხალხს ასეთი თემატიკა აინტერესებს. უბრალოდ, ყვითელი ჟურნალისტიკა უფრო მარტივი და იოლი გზაა. თუ იქნება ამ სიყვითლის ალტერნატივა, პროფესიული და კვალიფიციური მედია-პროექტი, საზოგადოების მხრიდანაც იქნება ინტერესი. ყველაზე მეტად მაღიზიანებს, როცა ჟურნალისტი თავად არ არის ინფორმირებული და გარკვეული იმ თემაში, რომელსაც მაყურებელს ან მკითხველს სთავაზობს. ზოგადად, შემთხვევითი ადამიანები ყველა პროფესიისთვის ცუდია.

_ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საზოგადოებრივ მაუწყებელსაც, ალბათ, ხშირად აქვს ის პრობლემა, რაც ჩვენი ტიპის გაზეთს. ყოველთვის გვეუბნებოდნენ, დღეს არა ისეთი სიხშირით, მაგრამ აქა-იქ მაინც, "ვინც იხდის, ის უკვეთავს მუსიკას!"

საზოგადოებრივი მაუწყებელი დაფინანსებას იღებს საქართველოს მოქალაქეებისგან და თუ ეს ხალხი უკვეთავს მუსიკას, ეს ასეც უნდა იყოს! ჩვენ საზოგადოებრივი, ანუ მათი ტელევიზია ვართ. სახელმწიფო ტელევიზიის პირობებში მთავრობა აფინანსებდა ტელევიზიას და შესაბამისად, ეს აისახებოდა ტელევიზიის პოლიტიკაზე. ახლა ჩვენი ბიუჯეტი არის მთლიანი შიდა პროდუქტის კონკრეტული პროცენტი, ანუ მას არა მთავრობა, არამედ მოქალაქეები იხდიან. ჩვენ ყველასთვის უნდა ვიყოთ და ეს რთულია, ხშირად არ გამოდის იდეალურად. ერთი ნაწილი გვეუბნება, მე ამაში არ გიხდით ფულს! მაგრამ მეორე ნაწილი სწორედ რომ ამაში იხდის ფულს! ძნელია ოქროს შუალედის პოვნა და მუდმივად ბალანსის ძიება, მაგრამ ღირს. კომერციულ არხებს აქვთ ფუფუნება, კონკრეტულ სეგმენტზე იმუშაონ, ამ ჯგუფის ინტერესებით შექმნან რეიტინგი. ჩვენ კი ყველა ჯგუფისთვის უნდა ვიყოთ მისაღები. დაფინანსების ეს მოდელი პირადად ჩემთვის არც ერთ შემთხვევაში არ ზღუდავს თავისუფლების ხარისხს. ყველა ქვეყანაში, ყველა ხელისუფლებას აქვს ცდუნება, მედია ასე თუ ისე შეზღუდოს. ეს დღეს არაერთი განვითარებული ქვეყნის განვითარებული მედიის შემთხვევაშია თითქმის შეუძლებელი ამოცანა, არათუ ჩვენთვის.

_ მედია პერიფერიებში _ რაიონებში მომუშავე ჟურნალისტები ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩებიან, მეტიც, დიდი ქალაქებიდან ჩამოსულების ფონზე, შეიძლება ითქვას, არც "განვიხილებით". აქვე ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, პროფესიონალიზმი სწორედ პერიფერიებშია გაბნეული. შენ როგორც რაიონში, ისე "დიდ ავიაციაში" მუშაობის გამოცდილება გაქვს და რას ფიქრობ ამაზე?

_ პროფესიონალიზმს გეოგრაფიულ საზღვრებში ვერ მოაქცევ. ბევრი რეგიონალური გამოცემა საინტერესო მასალებით, ავტორებით, ექსკლუზიური ინფორმაციებით, ადასტურებს რომ პროფესიონალიზმის დეფიციტს არ განიცდის. ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით რეგიონალურ გამოცემებს თუ ტელევიზიებსაც უკვე საკმაოდ დიდი აუდიტორიაც ჰყავთ. კვლევების მიხედვით, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც ტელევიზიებიდან იღებს ინფორმაციას, შესაბამისად, ე. წ. ცენტრალური არხების ჟურნალისტები უფრო ჩანან, მაგრამ ეს საკუთარი პროფესიისადმი დამოკიდებულებას არ უნდა ცვლიდეს. წლების წინ ძალიან კარგი ფორმულა მასწავლა ერთმა უცხოელმა ტრენერმა და ვცდილობ, სულ მახსოვდეს: ყოველთვის იფიქრეთ, რომ თქვენი მაყურებელი, მკითხველი თუ მსმენელი ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე გონიერი და განათლებულია. მას თქვენი რთული წინადადებები და მაღალფარდოვნება არ სჭირდება. მარტივად მოუყევით ამბავი, არც შეალამაზოთ, არც დაამახინჯოთ, რეალობა მოუყევით, დასკვნებს ის თავად გააკეთებსო. მგონია, რომ ეს სწორი დამოკიდებულებაა. როცა იცი, რომ ჭკვიან აუდიტორიაზე მუშაობ, საკუთარ თავსაც მაღალ სტანდარტებს უწესებ. რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენი შემფასებელი სად ცხოვრობს, ის ხომ ყველაზე გონიერია.

_ ბოლო წლებია, ჟურნალისტიკა არაერთი პროფესიის ადამიანის დასაქმების წყარო გახდა. უცნაური ისაა, რომ თითქმის ყველა რაღაცნაირად საკუთარ სტანდარტს აწესებს და მისთვის მისაღებ ჭრილში განიხილავს ამ პროფესიას. ვფიქრობ, ეს დაეტყო კიდეც და ძალიან ცუდად მის ხარისხს. შენი აზრით, მაინც რა არის ჟურნალისტიკა და რა ნიშა დაუსვა მას თანამედროვეობამ?

_ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ ჩვენს სფეროში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. მთავარია იცოდეს რატომ არის ჟურნალისტიკაში. იცოდეს, რომ ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება ისე იოლი არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ჟურნალისტობა პრივილეგია არაა. მედია ბოლო წლებში უფრო მრავალფეროვანი გახდა, თუმცა ცოტა ზედაპირულიც, მაგრამ მთავარია, თანდათან გამოვდივართ საბჭოთა ჟურნალისტიკის პრინციპებიდან და ვიცით, რომ ჩვენი ფუნქცია იდეოლოგიური აღზრდა კი არა, საზოგადოების ინფორმირებაა. ალბათ, მედია მენეჯერები უნდა იყვნენ პირველ რიგში კვალიფიციურები, რომ ამ ინდივიდუალური სტანდარტებიდან და მიდგომებიდან მივიღოთ ის, რაც საბოლოო ჯამში მისაღებია მაყურებლისა და მკითხველისთვის. ჟურნალისტიკას ისევ ის ნიშა აქვს, რაც ჰქონდა _ საზოგადოების ინტერესებისთვის მოდარაჯე ძაღლის, თუმცა, ყოველთვის ამ როლში დარჩენას ვერ ვახერხებთ.

_ არის თუ არა და რა აკლია ჟურნალისტს პოლიტიკოსობამდე. და საერთოდ, მედიის როლი პოლიტიკაში, შეუძლია მას შეცვალოს ხელისუფლება, საზოგადოების აზრი, ან მოახდინოს რევოლუცია?

_ ვფიქრობ, ჟურნალისტი პოლიტიკოსი არ უნდა იყოს. ჟურნალისტი პოლიტიკოსის მონიტორის როლში უფრო მომწონს. არც რევოლუციების მოხდენა მგონია მედიის მთავარი მისია, მიმაჩნია, რომ ეს შეფასება გადაჭარბებულია. მედიამ შეიძლება ხელი შეუწყოს რევოლუციას, მაგრამ თუ არ არის საამისო განწყობა საზოგადოებაში, ის ამ ამოცანას, ალბათ ვერ შეასრულებს. პრესის ამოცანაა, ყველა მხარის პოზიცია აჩვენოს, ინფორმაცია არ დამალოს, არ დაამახინჯოს. საზოგადოება თავად გადაწყვეტს ცვლილებები რევოლუციის ხარჯზე უნდა თუ ევოლუციის.

_ რას უსურვებ კოლეგებს და საკუთარ თავს, როგორც ჟურნალისტი?

_ განვითარებას! თუ ჩვენს პროფესიაში ზრდას წყვეტ, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ არაფერი გესაქმება. როცა დავინახავ, რომ ჩემს სამსახურში, ან ჩემს პოზიციაზე განვითარების შესაძლებლობა ამოწურე და ჩემი პროფესია რუტინა გახდა, აუცილებლად ვიფიქრებ სხვა საქმის კეთებაზე.

თავისუფლება ყველას ხვედრია

ლევან გაბეჩავა

საუკუნის მეოთხედი გავიდა 1991 წლის 31 მარტს საქართველოში რეფერენდუმის _ საერთო სახალხო გამოკითხვის ჩატარებიდან.

თავისთავად რეფერენდუმი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი, ჯერ კვლავ ცოცხალი, თუმცა უკვე მომაკვდავი იმპერიის ბრჭყალებში მყოფი საქართველოსთვის.

ლაკონური, მარტივი, თუმცა უმნიშვნელოვანესი იყო კითხვა:

გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ჩვენი ქვეყნის _ საქართველოს მოსახლეობამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა და მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ სურს ქვეყნის დამოუკიდებლობა _ სუვერენიტეტი.

1991 წლის მარტის რეფერენდუმი საფუძვლად დაედო იმავე 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პოლიტიკური აქტის მიღებას.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი 25 წელიწადი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი საქართველოსა და ქართველებისათვის:

იყო სოციალური აფეთქებები, ეკონომიკური სიღუხჭირე.

გაჩერებული, მიწის პირისაგან აღგვილი ფაბრიკა-ქარხნები.

ჩამკვდარი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

აფხაზეთი.

სამაჩაბლო.

აგვისტოს ომი.

მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მკვლელობები, თავდასხმები, ტერაქტი... მაგრამ სახეზეა ერისა და ქვეყნისათვის ათეული წლების ნაცნებარის ახდენაც: ჩამოყალიბდა ქართული ჯარი, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე სხვა სახელმწიფოთა საჯარისო ფორმირებებს შორის.

მიღებული იქნა ქვეყნის კონსტიტუაცია _ ძირითადი კანონი.

საქართველო, როგორც მრავალი სახელმწიფოსთვის სტრატეგიული სასურველი პარტნიორი ქვეყანა გაწევრიანდა არაერთ საერთაშორისო, საერაჭრო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ ორგანიზაციაში.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ''დიდი აბრეშუმის გზის'' პროგრამის განსახორციელებლად.

მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა არაერთხელ აღიარეს, რომ

> **საქართველო იარსებებს დამოუკიდებლად, რადგანაც ამ დამოუკიდებლობის გუშაგად ურყევად სდგას მთელი ქართველი ხალხი.**
>
> **გაზეთი "საქართველო"**
> **1921 წლის 30 იანვარი № 22**
>
> **...დღეს ბოლშევიკიზმი და მასთან ყველა სოციალისტური პარტიები თავთავიანთი რწმენისა და ილუზიების ნანგრევებზე სდგანან.**
>
> **ამას იტყვის ყველა კეთილგონიერი ადამიანი, რომელსაც თვალი და ყური აქვს, ვისაც გონება არ დაბნობია, როგორ სოციალისტურ რესპუბლიკებს ამყარებენ, ამას ხომ ვხედავთ, ხოლო როგორ გადასტყორცნეს რევოლუციის ცეცხლი მოწინააღმდეგე მხარეში, ამას გვიმტკიცებს მრავალი მაგალითი.**
>
> ***დავით კასრაძე***
> ***გაზეთი "საქართველო" 1918 წლის 7 მარტი.***

ალტერნატივა არ გააჩნია საქართველოს ევროინტეგრაციას.

როგორ აფასებს საზოგადოება 25 წლის წინ ჩატარებულ რეფერენდუმს და მის შედეგებს? კითხვაზე ''სამტრედიის მაცნემ'' პასუხი რამდენიმე რესპონდენტისაგან მოისმინა;

ლილი შენგელია, პენსიონერი: _ რა ვიცი დედა, ნეტა ვყოფილიყავით საბჭოთა კავშირში, არ უნდა დანგრეულიყო იმხელა ქვეყანა, გლახა იყო რუსეთში როცა გინდოდა მაშინ რომ წახვიდოდი?

ა. კ. 77 წლის, პენსიონერი: _ შავი დღისთვის რაც ფული ვაგროვე მთავრობამ შემიჭამა, სტალინი იზამდა ამას? არა ცოტა კი კეთდება მარა ლარი რომ არ გაუფასურებულიყო და ხალხი რომ იყოს დასაქმებული კარგი იქნება. ისე გასაჭირი ამაზე მეტიც მინახავს.

თეო შენგელია, მოსწავლე: _ რეფერენდუმის შესახებ მხოლოდ მსმენია, რა თქმა უნდა, არ მახსოვს მარტის ხსენებული რეფერენდუმი, თუმცა, ვთვლი, რომ აუცილებელი იყო მისი ჩატარება და ლოგიკური _ მისი შედეგი. დიახ, საქართველო და ქართველი ერი უნდა იყოს დამოუკიდებელი, თავისუფალი.

მარინე რუხაძე, 58 წლის: _ ერთი კვირაა თურქეთიდან ჩამოვედი, თვალი ისევ თურქეთისაკენ მიჭირავს, სხვა

> **საქართველო იარსებებს დამოუკიდებლად, რადგანაც ამ დამოუკიდებლობის გუშაგად ურყევად სდგას მთელი ქართველი ხალხი.**
>
> ***გაზეთი "საქართველო"***
> ***1921 წლის 30 იანვარი № 22***

ქართველოში? ვინ თურქეთშია, ვინ საბერძნეთში, ჩემი დედაშვიული საკუთარ შვილიშვილებს არ იცნობს, 9 წელია ესპანეთშია.

გიორგი შანიძე, ქვაყუდის საჯარო სკოლის დირექტორი: _ 1991 წლის მარტის რეფერენდუმი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში. რეფერენდუმის შედეგები საფუძვლად დაედო საბჭოთა იმპერიის ბრჭყალებიდან ჩვენი ქვეყნის დახსნას, შემდეგ კი მის დამოუკიდებლობას.

ც. თევზაძე, 67 წლის: _ ვერაფერს გეტყვით, სხვებს ჰკითხეთ.

გიორგი ლეჟავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: _ 1991 წლის მარტის საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა-რეფერენდუმი რომ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, სადავო არაა, მეორე საქმეა, სხვა საკითხია, როგორ გამოვიყენეთ დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი ოცდახუთი წელი.

ბიჭიკო მეგრელიშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი: _ განვლილმა 25 წელმა საუკეთესოდ დაგვანახა, თუ რა შეგვიძლია ქართველ ერს.

თეიმურაზ ჯულაყიძე, მწერალი, ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის ლიტერატურული პრემიის laureატი: _ აშკარად სხვა იყო გამსახურდიასა და კოსტავას ჩანაფიქრი, დღეს ქვეყანაში არაა ის გარემო, რომ ვთქვათ, ქვეყანა თავისუფალი, ერი ბედნიერია.

ერის, ბერისა და ხელისუფლების უპირველესი ამოცანაა ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დემოკრატიის დამკვიდრება ერთიანი, ქართული სახელმწიფოს სახით.

ასე მსჯელობენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

მეხსიერებაში ამოტივტივდა 25 წლის წინანდელი საქართველო, სამტრედია, გაორებული ხალხი, წინასარეფერენდუმო სამზადისი, რეფერენდუმის შედეგებით აღფრთოვანებული ერი...

25 წელი სრულდება 1991 წლის მარტის რეფერენდუმიდან.

1917 წლის 25 მარტს გვიმოუღია საქართველო

აღსდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია _ დამოუკიდებლობა.

ავტოკეფალური ეკლესია იერარქიულად დამოუკიდებელი ერთეულია.

რთული და მძიმე იყო გზა ავტოკეფალიამდე.

ჩვენი ერის სასიქადულო შვილები, საერო და სასულიერო მოღვაწეები ძალისხმევას არ იშურებდნენ საიმისოდ, როგორმე დედა ეკლესია ენახათ დამოუკიდებელი, თავისუფალი.

არც ავტოკეფალიის გამოცხადების პირველი წლები ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, რამეთუ მრავალი ღირსეული მოღვაწის სიცოცხლე შეეწირა ამ მოვლენას.

განუზომელია დღეისათვის ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი წინამძღოლის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის ავტორიტეტი არა მარტო საქართველოსა და ქრისტიანულ სამყაროში, არამედ მოძმე ეკლესიებსა და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა შორის.

38 წელია მისი უწმინდესობა ხელმძღვანელობს საქართველოს ეკლესიას და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს 38 წელი მნიშვნელოვანი პერიოდია არა მარტო საქართველოს, ქართველი ერის ისტორიაშიც.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პარალელურად საქართველოში გაიზარდა ეპარქიათა რიცხვი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღსდგა ხონის უძველესი ეპარქიის ფუნქციონირებაც, რომელსაც 20 წელია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველი, მიტროპოლიტი მეუფე საბა ხელმძღვანელობს.

ქვეყანაში, ქართულ მიწაზე აქტიურად წარმოებს ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, ძველი, ჟამთა სრბოლისაგან იავარქმნილი ტაძრების აღდგენა.

ნოემბრის დასაწყისში 5 წელი სრულდება სამტრედიაში წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის დასრულებიდან. კურთხევიდან. კურთხევა ხომ მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ აღასრულა.

ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოების _ ქრისტიანობის კიდევ უფრო განმტკიცება, რაც დედა ეკლესიისაკენ მრევლის შემობრუნებით გამოიხატა, ეკლესიის დამოუკიდებლობის შედეგია.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი, უდავოდ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ის უაღრესად პატრიოტული, მამულიშვილური ინიციატივაა, რომლის წყალობითაც 20 000 ქართველი შეემატა ქვეყნის გენოფონდს.

აღვილი მისახვედრია პატრიარქის ნათლულებზე რომ გვაქვს საუბარი.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 99-ე წლისთავს გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

წყალდიდობის მართვა საქართველოში

ხანგრძლივობა 2012-2016 წლები, ბიუჯეტი 5 060 000 აშშ დოლარი, დონორი _ ადაპტაციის ფონდი, განმახორციელებელი _ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), პარტნიორები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო _ ასე მიმოიხილება პროექტი, რომელიც ხორციელდება წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავება მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში.

მდინარე რიონის სიგრძე 327 კილომეტრია, ხოლო აუზის ფართობი 13 400 კვადრატული მეტრი. რიონი 986 800-ზე მეტ მოსახლეს ასაზრდოვებს ქვეყნის 4 რეგიონში. რიონის აუზში წყალდიდობების რაოდენობისა და სიმძლავრის მატების გამო 2012 წელს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და გაეროს განვითარების პროგრამამ ადაპტაციის ფონდის დახმარებით წამოიწყეს წყალდიდობების რისკების მართვის პროექტი რიონის აუზში არსებული მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად.

პროექტი მოიცავს რიონის აუზში არსებულ 6 მუნიციპალიტეტს: სამტრედია, წყალტუბო, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ამბროლაური და ხელს უწყობს 200 000-ზე მეტი ადამიანის უსაფრთხოებას.

შერჩეულ მუნიციპალიტეტებში 38 857-ზე მეტი ერთეული ქონება და 283 163 ადამიანი 100 წელიწადში 1 ალბათობის მქონე რისკის ქვეშ იმყოფება. განსაკუთრებით საყურადღებოა სამტრედიის, ხონის და ქუთაისის ტერიტორიები. 100 წელიწადში 1 ალბათობის მქონე წყალდიდობას შეუძლია დაახლოებით 4 მილიონ ლარზე მეტი ზიანის მიყენება საპილოტე მუნიციპალიტეტებში მხოლოდ მდინარის წყალდიდობის მიზეზით.

2012-2016 წლებში პროექტის ფარგლებში ნაპირდაცვითი გამაგრება განხორციელდა: რიონის აუზში შერჩეული 20 მაღალი რისკის ზონიდან 10-სთვის დაიგეგმა ნაპირდაცვითი გამაგრება. ფლეთილი ქვების საშუალებით აგებული სტრუქტურები 4000-მდე მოწყვლად მოსახლეს დაიცავს წყალდიდობისა და წყალმოვარდნის ზეგავლენისაგან. დღეის მდგომარეობით, ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელებულია ზარათში, სადაც 547 ადამიანი სახლობს, ასევე საჯავახოში, სადაც 868 ადამიანი სახლობს და ლენტეხის 8 სოფელში, სადაც 2830 ადამიანი ფიქსირდება. აღნიშნულ დასახლებებში ნაპირები გამაგრდა ფლეთილი ქვების დამბების მეშვეობით. მითითებულ დასახლებებში ჯამში 4245 ადამიანი ისარგებლებს ზემოაღნიშნული ზომების გატარებით. შერჩეულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს აგრომეტყევეების მეშვეობით მცენარეული საფარის შექმნა მდინარის ნაპირების ეროზიისაგან დაცვის მიზნით. პროექტი ითვალისწინებს 11 ჰექტარის გამაგრებას აგრომეტყევეობის მეთოდების გამოყენებით.

დღეისათვის 21 000 ნერგი დაირგა სამტრედიისა და წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიებზე. დარგვა განხორციელდა ნაკვეთების შემოღობვის შემდეგ.

პროექტის ფარგლებში დასაქმდა 160 ადამიანი. სამტრედიისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების 1150 მოსახლე ისარგებლებს აგრომეტყევეობის კომპონენტის შედეგებით.

მდინარე რიონის აუზში განახლდა ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელი, ხოლო ზოგიერთ ტერიტორიაზე დაემატა ახალი სადგურები. სულ რიონის აუზში 35 სადამკვირვებლო სადგური-საგუშაგო დამონტაჟდა.

პროექტის ფარგლებშივე შემუშავდა დატბორვის ტერიტორიების ზონირების ჩარჩო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს წყალდიდობების რისკების მართვის პრინციპების ინტეგრირებას მიწათსარგებლობის დაგეგმარების პროცესში.

წყალდიდობების მიმართ მოსახლეობის მედეგობის ამაღლების მიზნით შემუშავდა წყალდიდობის დაზღვევის სქემა, რომელშიც შესაბამისი საპილოტე მუნიციპალიტეტებისთვის სხვადასხვა სიდიდის წყალდიდობის შემთხვევებისთვის გამოთვლილია შესაბამისი სადაზღვევო პაკეტები.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ირგვლივ მოსახლეობისთვის უკეთ ინფორმირების მიზნით საქართველოს ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის წარმომადგენლებისთვის წყალტუბოში, სასტუმრო "წყალტუბო პალასში" 10 და 11 მარტს საინფორმაციო სემინარი გაიმართა, რომელსაც 20-ზე მეტი ჟურნალისტი დაესწრო.

სემინარის მონაწილეები გაეცნენ წყალდიდობის რისკებსა და მართვის პრაქტიკას დასავლეთ საქართველოში. ჟურნალისტებმა მოინახულეს რიონის აუზში განლაგებული სოფლები: საჯავახო, იანეთი, ზარათი, სადაც საცხოვრებელი სახლებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის მიზნით ნაპირდაცვითი და აგრომეტყევეობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სემინარი ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და ადაპტაციის ფონდის ხელშეწყობით. მონაწილეებს შეხვდნენ ნილს სკოტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელი საქართველოში და ვიგლა აგულაშვილი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი. ისინი ჟურნალისტებთან ერთად ეწვივნენ რიონის აუზის სოფლებს, დაათვალიერეს ნაპირდაცვითი სამუშაოები და გაესაუბრნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

"რიონის აუზის 200 000 მცხოვრები წყალდიდობის მუდმივი საფრთხის წინაშე იმყოფება. ჩვენი თანამშრომლობა საქართველოს მთავრობასთან მიზნად ისახავს წყალდიდობის მართვის ისეთი პრაქტიკის დანერგვას, რომელიც დაიცავს ადამიანებს წყალდიდობის მაღალი რისკის მქონე რეგიონებში და ეკონომიკურ განვითარებასაც შეუწყობს ხელს". _ თქვა გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა, ნილს სკოტმა.

"რიონის აუზი წყალდიდობის ყველაზე მაღალი რისკის მქონე ტერიტორიაა დასავლეთ საქართველოში. აქ შემუშავებული და გამოცდილი მოდელები შეიძლება დაინერგოს საქართველოს სხვა რეგიონებშიც, სადაც მაღალია წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკი და საფრთხე ექმნება ადგილობრივ მოსახლეობას". _ თქვა გიგლა აგულაშვილმა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა.

5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ბიუჯეტის მქონე პროექტი დაიწყო 2012 წელს და დასრულდება 2016 წლის ბოლოს.

ნინო ნანიტაშვილი
სემინარის მონაწილე
სამტრედია-წყალტუბო

ფინალურ თამაშში გამორჩეულებიც გამოავლინეს

მაყურებლით სავსე დარბაზი რომ იშვიათია ჩვენს ქალაქში, უდავოა, განსაკუთრებით _ ახალგაზრდებით. 2016 წლის 9 მარტს გამონაკლისის მომსწრენი გახლდით. "მან-სან-კანის" რეგიონალური ლიგის სასკოლო ჩემპიონატის ფინალმა, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობისა და კულტურის სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა, მოსწავლეთა დიდი ინტერესი დაიმსახურა. ალბათ, იმიტომაც, რომ დამსწრეები სცენაზე თანაკლასელის, მეგობრის, დედმამიშვილის... ხილვას ელოდნენ.

დასკვნით ღონისძიებაში ექვსი: იანეთის, ქალაქის მე-3, მე-4, მე-11 საჯარო სკოლების, სკოლა "ცოდნისა" და ახალგაზრდათა დამოუკიდებელი გუნდი მონაწილეობდა.

როგორც ყოველთვის, განსხვავებული, ორიგინალური იყო გამომსვლელთა იუმორისტული ნომრები. რამდენად წარმოაჩინეს თავიანთი მხიარულობა და საზრიანობა, ჟიურის კომპეტენციაა.

"მოგეხსენებათ, სამტრედიაში პირველად არ ვარ. ვიცნობ აქაურ საზოგადოებას, მის შესაძლებლობებს. ვიმედოვნებ, შედეგი მოლოდინს გაამართლებს". _ აღნიშნა "სამტრედიის მაცნესთან" საუბრისას ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ამიკო ჩოხარაძემ.

ბოლოხსენებულთან ერთად ნანახის აკარგიანობის ქულებით შეფასებას წარმატებით გაართვეს თავი: მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, აკაკი ჭანჭალეიშვილმა, რეპერმა თერიკამ, არჩილ ბოხუამ. ადვილად შეამჩნევდით, აპლოდისმენტთა სიუხვეც მოწმობდა მე-11 საჯარო სკოლის (დირექტორი ლენა ხაჟალია) გუნდის გამორჩეულობას. როგორც კაპიტნის, ზიკო ჯინჭარაძის, საუბრიდან შევიტყვეთ, მონაწილეებმა ძალა, ენერგია არ დაიშურეს სასურველი შედეგის მისაღებად. უძილო ღამეებიც თან ახლდა ჩვენს რეპეტიციებსო, _ აღნიშნა ზიკომ. შრომა დაუფასდათ. გამარჯვებულად, 1-ლი ადგილის, თასისა და სიგელების მესაკუთრედ სწორედ მე-11 საჯარო სკოლის გუნდი "სელფი" დაასახელეს.

სპეციალური საგზურებით დაჯილდოვეს მე-2, მე-3 ადგილებზე გასულნი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა და კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

ის მონაწილეებიც დასახელდნენ, განსაკუთრებული მოწონება რომ დაიმსახურეს მაყურებელთაგან: იუზა ჯულაყიძე, ლაშა სტურუა, ზიკო ჯინჭარაძე, ვალალო კოპალეიშვილი, ირაკლი კოტიშაძე, ანრი ასატურიანი. ღონისძიების ორგანიზატორმა, სამტრედიაში საქართველოს რეგიონალური ლიგის წარმომადგენელმა არჩილ ბოხუამ აღნიშნა: "იგეგმება გაზაფხულის სეზონი, რომელიც მარტის ბოლოს დაიწყება. დღევანდელი დღისთვის მადლობას ვუხდი საქართველოს რეგიონალური ლიგის ხელმძღვანელს, სოფო ბანძავას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, კულტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს, სპეციალისტებს: ლაშა ლორიას, აკაკი ჭანჭალეიშვილს და ყველა იმ ადამიანს, ოდნავი თანადგომაც რომ გამოხატა. ბავშვების საოცარი ნაკადი გვყავდა. საუკეთესო, რაც კი ოდესმე გვინახავს. შინაარსიანად დახარჯული დრო, სამომავლო პერსპექტივა, თანატოლთა სიყვარული... აი, რა არის "მან-სან-კანი" ჩვენთვის!"

ანეტა ჯაჯანა

მომავალი იუჩისტი ახალ ამპლუაში

ჩვენს თვალწინ დავაჟკაცებული ახალგაზრდა ამჯერად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელია, სტუდენტურ ცხოვრებას ეს-ესაა ეზიარა, თუმცა, მისი გვარ-სახელი "სამტრედიის მაცნეს" მკითხველმა გაცილებით ადრე გაიგო.

ზიკო ჯინჭარაძე სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია, არაერთ პროექტში მიუღია მონაწილეობა, არც წარმატებებია უცხო მისთვის.

ამჯერად კი ახალ ამპლუაში გვიწევს მისი წარდგენა. ყურადღება მასზე რომ შევაჩერეთ, საკვირველი არავისთვის უნდა იყოს.

შესაბამისი ქასტინგის შემდეგ ზიკომ უფლება მოიპოვა, მონაწილეობა მიეღო პროექტში "ქერჩი, დაკარგული გმირები".

გერმანელი გენერლის დამხმარის როლი განასახიერა მან ფილმში.

მეორე პროექტი საქართველოში ერთობ მოწონებული სერიალი "ტიფლისი" გახლავთ, სადაც ზიკომ "უანდარმერიის მეთაურის" მანამ კი "ქართველი ავჯანყებულის" როლები მოირგო.

ჩვენი რესპონდენტი ამჯერად დაკავებულია სერიალში "9+1" რომლის რეჟისორიც გოგა ხაინდრავა გახლავთ.

_ ორიოდე სიტყვით ვთხოვეთ ზიკოს, იმ პრობლემებზე თუ გასაჭირზეც ეთქვა, რასაც დედაქალაქში სასწავლებლად რეგიონებიდან ჩასული სტუდენტები განიცდიან.

_ მოგეხსენებათ, სტუდენტებს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უხდებათ შიდასაქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა, მიუხედავად არსებული შეღავათებისა, თვის მანძილზე მხოლოდ მგზავრობისთვის სოლიდური თანხაა საჭირო.

საყოველთაო უმუშევრობის ფონზე სტუდენტთა ოჯახებს მძიმე ტვირთად აწევს სწავლის ყოველწლიური საფასურის გადახდა.

ასე რომ, თუ ეს იქნება გათვალისწინებული სტუდენტებსაც მეტი მოტივაცია ექნებათ და საქმეც გაკეთდება. _ გვითხრა ზიკომ და ამით ასობით სტუდენტის აზრი გაახმიანა.

მომავალი იურისტი ისე გაიტაცა სამსახიობო, სარეჟისორო მიმართულებამ, რომ აპირებს საზაფხულო არდადეგებზე რეჟისორის ამპლუაში მოგვევლინოს და თავად გადაიღოს ფილმი ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ თემაზე.

წარმატებებს, ოცნებათა რეალიზებას ვუსურვებთ ზიკოს, მისი სახით ყველა სტუდენტს, ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის მომავალი რომ უნდა აშენონ.

ლეონ გაბეჩავა

ჩემს სასაჩუქრე მენიუში წიგნის გახდა სახაფეხია

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს რუბრიკაში "ვისაც ლიტერატურა უყვარს" სტუმრობა ამ ქალბატონის პოეტურობამ განაპირობა, მარინა კაკაბაძე მე-4 ბაგა-ბაღში 5-6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგია. ტერენტი გრანელის რამდენიმე პოეტური სტროფი, რომელიც მას ჩვეულებრივ საუბარში წამოსცდა, საბაბად იქცა, ჩვენს რუბრიკაში მოგვეწვია. აღმოჩნდა, რომ შესანიშნავი პედაგოგი შესანიშნავი მკითხველიცაა...

_სკოლის დამთავრების შემდეგ სტაჟი რომ მქონოდა, დღევანდელ მე-4 საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა ქიმიის კაბინეტის ლაბორანტად. ძალიან ცოტა ხნის შემდეგ თბილისში, კერძო რეპეტიტორთან სიარულის პარალელურად, მუშაობა დავიწყე კინოსტუდია ქართულ ფილმში, მულტვაერთიანებაში, შესაძლოა ჩემი მომავალი პროფესიის არჩევა ამ ბავშვურ სამყაროსთან დაახლოებამ განაპირობა. ძალიან კარგი გარემო იყო. ვარ სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი. ჩავბარე გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. სასწავლებლის დასრულებისთანავე აი, ამ შენობაში ბაღის აღმზრდელად მოვედი, აქ მაშინ რუსული ბაღი გაიხსნა, კარგად ვფლობდი რუსულს და ინგლისურს, მერე ეს განათლება ჩემი შვილების მომზადებაში გამომადგა. 23 წლისა მოვედი ამ ბაღში, წლეულს 55 წლისა ვხდები. ამდენი წელი, რაც აქ გავატარე, არც მშობლების სახლში მიცხოვრია და არც ჩემს ოჯახში. ნამდვილად მშობლიურია ჩემთვის ეს ადგილი.

_ წიგნს რა დატვირთვა აქვს თქვენს ცხოვრებაში? დაგაშორათ თუ არა დღევანდელმა დაძაბული ცხოვრების რიტმმა წიგნთან?

_ მადლობელი ვარ უფლის, რომ კი არ დამაშორა, მიმაჯაჭვა წიგნებს. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, არა მარტო უნდა მიყვარდეს წიგნი, მევალება, ჩემს აღსაზრდელებსაც შევაყვარო იგი. ეს ძალიან კარგად გამომდის. ყოველ წელს მაქვს ტრადიცია: როცა ჩემს აღსაზრდელებს სკოლაში ვაცილებ, ვისაც მეტი ანდაზა, ლექსი და მოთხრობა ეცოდინება "დედაენიდან" მას ვასაჩუქრებ "დედაენით". მქონდა ასეთი შემთხვევა პედაგოგიურ პრაქტიკაში: თურმე ძმები წაეჩხუბნენ ერთმანეთს: არა მე დავწვები დედიკოსთან და არა მეო. იმ დღეს ერთ-ერთ ძმას მე ვაჩუქე "დედაენა". ამ ბავშვს დედისთვის უთქვამს: დედი, არა უშავს, მე ჩემს "დედაენას" ჩავეხუტები, ზურა კი შენ ჩაგეხუტოსო. უბედნიერესი ვარ, მე დედასთან გავაიგივე წიგნი და ასევე გააიგივა ის ბავშვმა. ჩემმა პროფესიამ უფრო გამიღრმავა წიგნების სიყვარული.

_ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?

_ ჩვენს ოჯახში განათლების ინფექცია, ვირუსი არსებობდა, რომელიც ყველა წევრს გადაედებოდა. არ გვქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, მაგრამ მაინც ძვირფასი იყო ჩვენთვის. ქართულ ენასა და ლიტერატურაში უნივერსიტეტის პროფესორ ივდით თავაძესთან ვემზადებოდი. მახსოვს მისი ფრაზა: "ის დღე დაიქცეს, ტელევიზია რომ შემოვიდა, მან უწიგნურობა მოიტანაო". დღეს რამდენი ტექნოლოგიაა, მე ახლა უფრო დაბეჯითებით ვცდილობ, ამ ტექნოლოგიების პარალელურად წიგნს არ დავაშორო ჩემი პატარები. რა თემაც არ უნდა აგხსნა, ჩემთვის ხატად რჩება "დედაენა", თუმცა, უამრავი წიგნი გვაქვს თვალსაჩინებისთვის. ფაქტობრივად, არც დავშორებივარ ბავშვობას, ბავშვად ვბერდები. ისევ მჯერა თოვლის ბაბუის, როგორც ჩემს აღსაზრდელებს სჯერათ... მადლობელი ვარ ჩემი პროფესიის, რომ ასეთად დავრჩი...

_ თქვენთვის საუკეთესო ნაწარმოები და ლიტერატურული პერსონაჟი რომელია?

_ პირველი ნაწარმოები, რომელიც წავიკითხე, იყო ვაჟას "შვლის ნუკრის ნაამბობი", სკოლაში გვავალებდნენ, ერთხელ მაინც წავსულიყავით წიგნის მაღაზიაში და აგვერჩია წიგნი. ეს იყო ჩემი არჩეული ლამაზად დასურათებული წიგნი, მახსოვს 20 კაპიკი ღირდა. ჩემს შვილებსაც პირველი ნაწარმოები, რომელიც მოვუყევი, იყო "შვლის ნუკრის ნაამბობი". ამ შვლის ნუკრის თავგადასავალი ჩემი სულის ისეთი სიმებს შეეხო, შთაბეჭდილებები დღემდე შემომრჩა. სხვათა შორის პირველი დაბადების დღის ცენტრი "ბემბი" სამტრედიაში მე გავხსენი. წარწერა დღესაც შემორჩა, ამ ცენტრში ბავშვთა სახლის 15 აღსაზრდელს გადავუხადე დაბადების დღე. ამად ღირდა იმ ცენტრის არსებობა. 15 წლის გოგონამ, ბავშვთა სახლის აღსაზრდელმა პირველად თავის ცხოვრებაში აღნიშნა ამ ცენტრში დაბადების დღე. იმ გოგონას სიტყვები მახსოვს: მეგონა განსაკუთრებული ბავშვი ვიყავი, დღეს აღმოვაჩინე, რომ ყველას ჰქონია დაბადების დღეო.

_ პოეტური ქალბატონი ბრძანდებით, ხშირად საუბარში ლექსებიდან ფრაზები წამოგცდენიათ. პროზა უფრო გიყვართ თუ პოეზია?

_პროზა ჩემთვის მნიშვნელოვანია, ერთი და იგივე კარგი წიგნი შემიძლია ბევრჯერ წავიკითხო. ჩემთვის ასეთია ვიქტორ ჰიუგოს "საბრალონი", ქართველ მწერლებსა და მსოფლიო კლასიკოსებს შორის ხშირად ვავლებ პარალელებს. ჰიუგოს ერთ-ერთი გმირის, მოძღვარის საქციელი შთამბეჭდავია, მოპარულ სანთლებთან დაკავშირებით, როცა ამბობს, რომ მან აჩუქა ეს სანთლები კატორღელს და ამით სწორ გზაზე დააყენა იგი, ასევე ნოდარ დუმბაძის "კუკარაჩაში" ინგას ამქვეყნად მობრუნება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მურტალოს ციხეში ჩაჯდომა. აი, ასეთ რამეებს ვეძებ, ჰუმანურობის მარგალიტებს ვაგროვებ. პოეზია უფრო მეტია ჩემთვის. აი, ამ ფრაზებს თითქოს ფრთები აქვთ და დაფრინავენ. ისინი სულში უფრო ჩაგიფრინდებიან...

_ არის თუ არა ფრაზა, არასოდეს რომ არ გასვენებთ და თქვენს უბის წიგნაკშიც ამოგიწერიათ...

_ ჩემთვის ყველაზე ფრთიანი ფრაზაა: "რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი..." აი, ამ სიტყვების არსში ჩავწვდი, იცით როდის? ვანის არქეოლოგიური მუზეუმიდან რომ ბრუნდებით, მარჯვენა მხარეს არის დიდი პანო ამ წარწერით. იქიდან გამობრუნებული ყველა ადამიანის განწყობა დევს ამ სიტყვებში. გალაკტიონი ჩემთვის მსოფლიო პოეზიის ბუმბერაზია. აბიტურიენტებს ვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში და გალაკტიონის ახსნისას ყოველთვის ემოციური ვარ... პირადად მე პოეტ აკაკი თევზაძესა და მის შესანიშნავ მეუღლესთან, მარინა ჯიქიასთან ვემზადებოდი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მშობლების დონის ამაგი მიუძღვით ჩემზე. ჩემს სულიერებაზე ამ ადამიანებმა იზრუნეს. ისინი მართლაც ზნემაღალი, სათნო ადამიანები არიან. ამას წინათ თქვენი წერილი წავიკითხე თქვენს გაზეთში მარინა ჯიქიაზე, და ამ წერილით სახლში ვესტუმრე ჩემს პედაგოგებს. იის კონაკი არ მიჩუქნია მათთვის, რომ ჩავირიცხე, ქალბატონმა მარინამ ხატი მაჩუქა, არ ვიყავი ეკლესიური, ამ ხატმა ჩემი ფერისცვალება მოახდინა. აკაკი თევზაძის ულამაზესი პოეზიიდან ბევრი რამ მახსენდება. ერთი ასეთი ფრაზა: "ნეტავი დასვენებული მე შენი თავი მაჩვენა". ხანდახან ეს ფრაზა მესადაგება. 24 საათში, ალბათ, 4 საათი ვისვენებ. ვარ დიდი ოჯახის დიასახლისი. მაქვს დიდი მეურნეობა და ვხელმძღვანელობ ბავშვების მრავალრიცხოვან ჯგუფს. როცა ვტირი ან მიხარია, მწყინს და ვტირი, მახსენდება აკაკი თევზაძის ფრაზა: "ადიდდი სულის მდინარევ" და მგონია, ის ცრემლები მდინარეა, ჩემში რომ ვერ დაეტია და გადმოიღვარა...

_ შეხვედრიხართ რომელიმე ცნობილ კლასიკოსს და გაქვთ მისი ავტოგრაფით წიგნი?

_ მე-11 საჯარო სკოლაში ჩემს საყვარელ მწერალს და ადამიანს ოტია იოსელიანს შევხვდი, ვესაუბრე და ერთ-ერთ ბუკლეტზე ავტოგრაფი გავაკეთებინე. დედაქალაქში ქუჩაში შემთხვევით შევხვდი ოთარ მელვინეთუხუცესს და გურანდა გაბუნიას. ფურცელი რომ არ მქონდა, ავტოგრაფი ჩემი შვილის "დედაენაზე" გავაკეთებინე.

_ წიგნების ყიდვას ახერხებთ?

_ როცა ადამიანს საჩუქარი უნდა ვუძღვნა, არც კი ვფიქრობ წიგნის გარდა სხვა საჩუქარზე. ჩემს სასაჩუქრე მენიუში წიგნის გარდა სხვა არაფერია... ვცდილობ, ის წიგნი ისეთი იყოს, მასაც გამოადგეს.

_ სხვისი შვილების პედაგოგმა საკუთარი შვილების ზიარება წიგნთან შესძელით?

_ ჩემი შვილების სულიერებასა და წიგნიერებაზე თავიდან ბოლომდე ვზრუნავდი და ვფიქრობ, გამომივიდა. ვინც ჩემს შვილებს იცნობს და ამას წაიკითხავს, მიხვდება, რომ არ ვაზვიადებ. ჩემმა მურმანმა 2 წლის ასაკში 50 ლექსი იცოდა, მღერის არაჩვეულებრივად, ჩემი შვილები მურმანი და ზურა ფირცხალავები უკრავენ ყველა ხალხურ საკრავზე, ფორტეპიანოზე და გიტარაზე. მურმანმა თავისი ხელით გაკეთა ქრომატიული, იგივე კლასიკური ფანდური. იგი ასევე გალობს ტაძარში, რეგენტია. სამტრედიაში უწმინდესი რომ ჩამოვიდა, მონაწილეობდა ღონისძიებაში, უკრავდა. ის ამჯერად ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს, ზურაც ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია. მურმანი წერს სიმღერებს, ლექსებს, საოცრად უყვარს ლექსები, მისი სიმღერა "შველისფეხება" ჰიტად აქციეს თინეიჯერებმა.

მადლობას თუ არ გვეტყვით, თითსაც ნუ გამოიშვერთ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში არამიზნობრივი ცვლილებები განხორციელდა. გაზეთ "სამტრედიის მაცნეში" გამოქვეყნებული პროგრამების სახეცვლილებებმა ჩემი უკმაყოფილება გამოიწვია. სოციალური სამსახურის თანამშრომლები, რომლებსაც ყოველდღიური შეხვედრა აქვთ მოსახლეობის იმ ნაწილთან, რომლებიც მათი ოჯახური პრობლემებიდან გამომდინარე მრავალმხრივ გაჭირვებაზე ესაუბრებიან, არა მგონია, დიდი სიხარულით შეხვედროდნენ პროგრამების დამახინჯებულ ცვლილებებს.

ბატონ ლევან ახობაძეს ავიწყდება, ალბათ, ის, რომ საჯარო მოხელეა და მას ხელფასს სწორედ მოსახლეობა უხდის, სოციალური სამსახურის უფროსი იმაში კი არ უნდა არწმუნებდეს ხელისუფლების პირველ პირებს, რომ ვინმემ არამიზნობრივად არ გამოიყენოს ერთჯერადი ფინანსური დახმარება და ამიტომ დავურიგოთ საგარანტიო ფურცელიო, რომელსაც უმრავლესობა ვერ გამოიყენებს, მან ხელი უნდა შეუწყოს გაჭირვებული ხალხის მოთხოვნებს. საგულისხმო ბრალდებაა ისიც, რომ თურმე პარტიები, წინასაარჩევნოდ სათავისოდ იყენებდნენ ერთჯერად დახმარებებს.

ჩემი მუშაობის პერიოდში წელიწადში 2-ჯერ ოპოზიციის წარმომადგენლები ამოწმებდნენ ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემის სისწორეს, კარდაკარ დადიოდნენ მოსახლეობაში და კითხულობდნენ, მიიღეს თუ არა მათ დახმარებები. ერთი ოჯახიც კი არ აღმოუჩენიათ ასეთი. ჩემს სამსახურზე არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს არც ერთი პარტიის წარმომადგენელს.

ჩემი თერთმეტწლიანი მუშაობის პერიოდში პირველ სამ წელიწადში შევქმენი სამი დიდი სამსახური, მე არც ერთი მათგანის შექმნაში იურისტები არ გამომიყენებია, ჩემი ჩამოყალიბებულია მათი წესდებები, პროგრამები, მენიუ, კალკულაცია (საბაზო ფასების გათვალისწინებით) და მადლობას თუ არავინ გვეტყვის, თითსაც ნუ გამოიშვერთ ჩვენსკენ. გაჭირვებული ადამიანებისათვის დახმარებები არავის წაურთმევია, თუ გასაცემი თანხა არ გვქონდა, სახლიდან მოგვქონდა პროდუქტი და ისე ვეხმარებოდით ადამიანებს, რომლებიც საჭმლისათვის დახმარებებს ითხოვდნენ.

ჩემი მუშაობის პერიოდში შვიდი გამგებელი გამოიცვალა სამტრედიამ და არც ერთ მათგანს თავისი თანამდებობა არ გამოუყენებია იმისათვის, რომ ვინმე პარტიული ნიშნით დაეჩაგრა. ვინც იმას ამბობს, რომ ვინმე ხალხის დახმარებებს სათავისოდ იყენებდა, მე მინდა, მათ ვუთხრა, ეს მოხდა 2012 წლის არჩევნების დროს, "ქართული ოცნების" შტაბიდან სათითაოდ მორბოდნენ მათი წარმომადგენლები დახმარებებისათვის. საკუთარი გამოცდილებით ამბობთ იმას, რასაც ფიქრობთ. თქვენს მიერ სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებულ თანხებს, რომელზეც საგარანტიო ფურცლები დააწესეთ, ხალხის 70% ვერ გამოიყენებს. ჩვენს რაიონში ბევრი ადამიანია, რომლებსაც ოჯახში არანაირი ფინანსური საშუალება არ გააჩნიათ, ჰყავთ ორი და სამი სტუდენტი. ვერ იხდიან სწავლის საფასურს, ბინის ქირას, ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, რომელთაც ვერ კვებავენ, ბავშვის საკვები 25-30 ლარი ღირს, რომელიც მხოლოდ ხუთი დღის საკმარისია.

გაზეთში გამოქვეყნებული პროგრამებიდან არა სწორად მიმაჩნია ის, რომ სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ დაფინანსებას კიდევ ადგილობრივი პროგრამა აფინანსებდეს და ადამიანები, რომლებიც არც ერთ პროგრამაში არ მონაწილეობენ და ელემენტარული საარსებო მინიმუმი არა აქვს, ვერ ღებულობს ერთჯერად დახმარებას.

ბატონებო, საგარანტიო წერილებს რაც შეეხება, ის გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ის ხარჯები არ იფარება სხვადასხვა პროგრამებით, ან დაზღვევის მეშვეობით, _ პიროვნებების, რომელთა მოთხოვნილი თანხები აღემატება 900 ლარს (დადგ. №331).

ვეტერანების კუთხით გათვალისწინებულმა პროგრამამ სინდისის ქენჯნა გამიჩინა. რა გაუჭირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას ისეთი, რომ დიდი სამამულო ომის ვეტერანებს აკადრებთ იმას, რასაც არ იმსახურებენ. ადამიანებმა, რომლებმაც ძალ-ღონე ომს შესწირეს, იბრძოლეს ხუთი წელი (და არა ხუთი დღე), სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მეომრები დაბრუნდნენ, დანგრეული ქვეყანა ააშენეს, ჩვენამდე მოიტანეს და ისიც ვერ დაამსახურეს ჩვენს წინაშე, რომ ვეუბნებით, თუ ძალიან გაგიჭირდათ, შეაგროვეთ საჭირო საბუთები, ჩვენ მოგცემთ 200 ლარიან საგარანტიო ფურცელს მხოლოდ მედიკამენტების შესაძენად. გამოიყენებენ კი?

ძნელი გასაგებია ის, რომ 90 წლის ვეტერანს ყოველნაირი დახმარება სჭირდება? როგორც ფინანსური, ასევე მორალური. მით უფრო, რომ ჩვენს რაიონს მხოლოდ 17 ვეტერანი დარჩა, გაუხარდებათ თუ ოჯახში ესტუმრებით და თავიანთი დაბადების დღეს დაუმადლებლად აჩუქებთ თქვენს მიერ ჩაფიქრებულ 200 ლარს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებთ. ისინი იმსახურებენ ამას. კმაყოფილი ვარ იმით, რომ თქვენ მსოფლიოში ხარაზთა საერთაშორისო დღე აღნიშნეთ. ისინი ნამდვილად დასაფასებელი და ისტორიული პიროვნებები არიან, მისასალმებელია ისიც, რომ უმრავლესობა ღონისძიებას ესწრებოდა და არ დაგავიწყდათ ისინიც, ვინც მოსვლა ვერ შეძლო და სახლში ეახელით.

ნუ დაგავიწყდებათ ისიც, რომ 2003 წელს 298 ომის ვეტერანი იყო სამტრედიაში, რომლებიც დიდი სიხარულით ელოდნენ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს იმიტომ, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ და ის დღეები გაეხსენებიათ, როცა ომის ქარცეცხლმა გადაიარა მათ თავზე. დღეს კი მათგან მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ დღესასწაულზე მოსვლა.

მაინტერესებს, რომელი პროგრამით უნდა ისარგებლოს იმ მოქალაქემ, რომელსაც ჯანმრთელობით არ უჭირთ, არც წამალი სჭირდებათ, შიმშილობს მთელი ოჯახი, მისი მცირეწლოვანი შვილები. იქნებ, შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი მაღაზიები, რომლებიც თქვენს მიერ გაცემული საგარანტიო წერილების საფუძველზე მოქალაქეებს პროდუქტს მიაწვდის. დარწმუნებული ვარ, თქვენს მიერ დამახინჯებული სოცპროგრამები ფულის დაზოგვის მიზნით არ მოხვდება ჯანდაცვის მომდევნო წლის პრიორიტეტებში.

მიეცით ხალხს ერთჯერადი ფინანსური დახმარებები და ნუ ეძებთ იმას, რომელი პარტიის წარმომადგენლები არიან ისინი. თქვენც სხვა პარტიის წარმომადგენლები იყავით, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ყველას მიგიღია დახმარება ან პირადად, ოჯახის წევრებზე, ან ახლობლებზე.

უკეთესი იქნება, საქართველოში არ არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კვების პრობლემა აქვთ, ვერ იხდიან დენის ფულს და სხვა. ადამიანებმა, რომლებმაც მთელი ცხოვრება იმუშავეს, დღეს ის ადამიანები თქვენს წინაშე დგანან და ლუკმაპურისთვის დახმარებას ითხოვენ.

გაითვალისწინეთ: ეს ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის, ზოგი ჩადის, ჩვენც დავბერდებით, სიცოცხლე საამურია მაშინ, როცა შეგიძლია და შენი შრომით ვინმეს გამოადგები.

მე, როგორც რიგითი მოქალაქე, იმედს ვიტოვებ ამ პროგრამების სახეცვლილება მოხდება და ვთხოვ საკრებულოს ყველა დეპუტატს, გამოიყენონ თავიანთი უფლებები და თავიდან განიხილონ პროგრამები. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენს რაიონში მცხოვრები გაჭირვებული მოქალაქეები კმაყოფილები გამოვლენ გამგეობის შენობიდან და არა წყევლა-კრულვით.

ლარეზან ახოგაძე

სპორტი

თამარ ბიბილეიშვილი კვლავ ჩემპიონია

2016 წლის 12 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში (კიოკუშინკაი კარატე) ქალთა შორის 65 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

აღნიშნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია) კარატეს ჯგუფის წევრმა თამარ ბიბილეიშვილმა.

ბიბილეიშვილი შეყვანილია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ის მაისში მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში, რომელიც თბილისში გაიმართება და მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ამ წლის ბოლოს იაპონიის კუნძულ ოკინავაზე ქალაქ ნაჰაში ჩატარდება.

"სამტრედიის მაცნე"

ოთარ გოგისვანიძე საქართველოს ჩემპიონია

ჭიდაობა "სამბოში" ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობა, რომელიც 26-27 თებერვალს მიმდინარეობდა, გახლდათ ევროპის შესარჩევი შეჯიბრი.

მასში მონაწილეობდა და სამტრედიის ღირსებას იცავდა საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) აღზრდილი ოთარ გოგისვანიძე (82 კგ. წონითი კატეგორია).

ოთარმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივეში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ფინალში გასასვლელი შეხვედრა მან ევროპის ჩემპიონ მულაძეს მოუგო, ფინალურ დაპირისპირებაში კი ორგზის ევროპისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ტრისტან მოსახლიშვილი დაამარცხა, ამით კი ოთარმა მოიპოვა უფლება აპრილის დასაწყისში, საფრანგეთის დედაქალაქში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზოს.

ოთარ გოგისვანიძის პირადი მწვრთნელია ავთანდილ თარგამაძე, მწვრთნელები: ბადრი შენგელია და ბესარიონ შვანგირაძე.

წარმატებებს ვუსურვებთ ოთარს, მის მწვრთნელებს მომავალ ტიტულოვან ასპარეზობებში.

ლევან გაბეჩავა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2016

ფეხბურთი რომ ერთ-ერთი საყვარელი და პოპულარული სპორტის სახეობაა, ეს 2016 წლის 9-13 მარტს საჯარო სკოლებს შორის მინი ფეხბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით ჩატარებულმა პირველი ეტაპის (სარაიონო) შეჯიბრებამაც დაადასტურა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად რაიონის 14 საჯარო სკოლა გამოცხადდა. კერძოდ; № 1, № 2, № 3, № 4, № 9, № 10, № 11, № 12, ტოლების, ღანირის, ნაბაკევის, საჯავახოს, დიდი ჯიხაიშის, ნ. ნიკოლაძის სახელობის საჯარო და შპს "ცოდნას" სკოლები, სულ 130 მონაწილე. ჩატარდა კენჭისყრა და გუნდები დაწყვილდნენ ოლიმპიური სისტემით. თამაშები თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ღია მოედანზე გაიმართა და პირველ დღეს მხოლოდ 4 შეხვედრა მოესწრო, რომელთაგან აღსანიშნავია ქალაქის № 3 და № 2 საჯარო სკოლების შეხვედრა, თავიდანვე № 3 საჯარო სკოლის გუნდი ფავორიტად მოიაზრებოდა, მაგრამ ერთადერთი შეცდომით გაშვებული ბურთით დამარცხდნენ და გამოეთიშნენ შეჯიბრებას. მეორე დღეს 6 შეხვედრა ჩატარდა და ძირითადად გამოიკვეთა ნახევარფინალურ შეხვედრებში მონაწილე გუნდების ვინაობა.

შეჯიბრების გაგრძელება 11 მარტს, ამინდის გაუარესების გამო, სპორტკომპლექსის სპორტულ დარბაზში მოგვიხდა. ნახევარფინალური შეხვედრების შემდეგ ფინალში ერთმანეთის პირისპირ ქალაქის № 2 და № 9 საჯარო სკოლების გუნდები დადგნენ. ფინალში კი რომელიც 13 მარტს კვირა დღეს ჩატარდა, № 9 საჯარო სკოლის გუნდმა ანგარიშით 7 : 2 გაიმარჯვა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო მეორე ადგილზე ქალაქის № 2 საჯარო სკოლის ფეხბურთელები გავიდნენ. გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ კომპლექსური სპორტული სკოლის სიგელებით. № 9 საჯარო სკოლის გუნდი კი მონაწილეობას მიიღებს შემდგომი ეტაპის სამხარეო გათამაშებაში.

რამაზ თელია
კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი

ამირან ნიკოლეიშვილის გახსენება

ჩვენო მეგობარო, უკვე წარსულში გვიხდება თქვენი გახსენება.

გაცნაურებული გქონდა უკურნებელი სენით მოსალოდნელი დასასრული და ჩქარობდით სათქმელის მოსწრებას. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე კვლავ წერდით, ფიქრობდით, მეგობრებთან მსჯელობდით ისევ სათაყვანებელ საქართველოზე, მის აწმყოსა და მომავალზე. იტყოდით, ბევრით ვერ ვარგე ჩემს ქვეყანასო და არადა, გაკეთებული გაქვთ უამრავი, როგორც მეცნიერს, რაზედაც თაობები გაიზრდებიან, როგორც საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ უკმარისობის გრძნობა ხომ აკადემიური განათლების მქონე პიროვნებათა ჩვეული თანმდევი თვისებაა.

თქვენი ნამოღვაწარით დაადასტურეთ თქვენი პიროვნება, როგორც დიდმა მეცნიერმა და შემოქმედმა, ამავდროულად თქვენი შეუდრეკელი ხასიათითა და ბუნებით გვიჩვენეთ ბედთან, საკუთარ ხვედრთან არდარიდების იშვიათი მაგალითი გმირობისა და ვაჟკაცობისა.

თქვენი სახით საქართველომ დაჰკარგა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერისკაცი, რომლის შემოქმედების მუდმივი თემა საქართველოა, მისი გმირული წარსული, მისი აწმყო და მომავალი. თქვენ წერდით, თუ როგორ იაროს წინ საქართველომ, თუ როგორ აყვავდეს ეროვნული კულტურა, თუ როგორ ამაღლდეს ჩვენი ეროვნული შეგნება, როგორი სიფრთხილე გვმართებს და როგორ არ უნდა მოსწყდეს ერი საკუთარ წარსულს, ეროვნულ ფესვებს. თქვენი კვლევები მიძღვნილია ქართველი ხალხის ეროვნულ სულისკვეთებაზე და გმირულ წარსულზე. ეს უკანასკნელი თითქმის ყველაფერს ჩრდილავს თქვენს შემოქმედებაში და თავგანწირული პატრიოტიზმის გრძნობით მსჭვალავს თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემლებს, თქვენს თანამედროვეთ.

გმირობა და ვაჟკაცობაა შეადგინო საკუთარ საფლავზე დასაწერი ეპიტაფია, რომელიც სიკვდილის წინ ჩუმად, უხმაუროდ ერთ ფარატინა ფურცელზედ დაგიწერიათ და შეუმჩნევლად დაგიტოვებიათ, რადგან გრძნობდით სიკვდილისაკენ რომ მიექანებოდით.

თქვენს მეგობრებს კი დაგვიტოვეთ ტკივილნარევი მოგონება თქვენს პიროვნებაზე, კაცურკაცობაზე და ვაჟკაცობაზე, რომელიც ნათელ მაგალითს მისცემს თაობებს.

თქვენს მიერ შექმნილ მეცნიერულ ფასეულობებს ქართული კულტურის, განათლების, საქართველოს ისტორიის შესწავლისას გვერდს ვერავინ აუვლის. მასზე თაობები გაიზრდებიან, მრავალჯერ დაიწერება თქვენს მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, თქვენს პიროვნებაზე, რომელშიც კვლავ განმეორდებით, აი, ეს არის უკვდავება და არდავიწყება მეცნიერისა, პიროვნებისა.

თქვენი გარდაცვალების 40-ე დღეს თქვენი მეგობრები უფალს შევავედრებთ, თქვენს სულს დაუმკვიდროს მშვიდობის სასუფეველი მის საუფლოში და ნათელში გამყოფოთ. ამინ!

ჰარიეტა რუსია პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
აკაკი თევზაძე პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი,
თამარ რაზმაძე პედაგოგი,
ნინო მიქელაძე პედაგოგი,
თეიმურაზ ჯულაყიძე პოეტი,
ისიდორე ჯანელიძე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი
აკაკი რუხაძე პოეტი.

...მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი

საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა დედურ სითბოსა და მზრუნველობას უშურველად უნაწილებდა ცეროდენა გოგო-ბიჭებს. სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა კულაშის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, მანამ კი ჭაგნის სკოლაში მოღვაწეობდა.

ჩინებული პედაგოგი, მეგობარი, მეზობელი, სათნო ქალბატონი, ლამარა შენგელია ჩუმად, უხმაუროდ განერიდა საწუთროს, აქ დარჩენილებს კი ერთგვარი სევდა და თბილი მოგონებები დაგვიტოვა.

უეჭველად იქ დაავანებს უფალი თქვენს სულს, სადაც მართალნი განისვენებენ.

მშვიდობით, ლამარა მასწავლებელო!

ლევან გაბეჩავა

ააიპ-ი "სახლი თანადგომას" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელ ნინო სამხარაძეს მზახლის

ჯემალ ტულუშის

გარდაცვალების გამო.

სოფელ ბაშის მოსახლეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფლის კოლორიტი, ღვაწლმოსილი პიროვნება, ბატონი

ჩუსეინ ვლადიმერის ძე კაშია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბაშის საბავშვო ბაგა-ბაღის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ბატონ რამაზ კაშიას, მამის

ჩუსეინ კაშიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მანანა მანჯგალაძეს დედის, ქალბატონი

ლამარა მანჯგალაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნარგიზ გოგიას დედის, ქალბატონი

ოლია ქვაცაბაია - გოგიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გრიგოლ დარჯანიას ოჯახს, ქალბატონი

ნანი კვესელავას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ინგა სულაბერიძეს მამამთილის

მამული ზამთარაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახური თანაუგრძნობს ინგა სულაბერიძეს, მამამთილის

მამული ზამთარაძის

გარდაცვალების გამო.

კახა ფოცხვერიას მონატრება

21 მარტი შენი დაბადების დღეა. ჩვენთვის ეს დღე არის ტკივილის, მწუხარების, სევდის გახსენების დღე. როგორ გვაკლიხარ კახუნა, რომ იცოდე როგორ გვენატრები შენ საყვარელ ადამიანებს, მაგრამ ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ შენი სულისთვის, რომ ნათელში და სანთელში იყო.

შენი ოჯახი



იზო ჭვანიას გახსენება

ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ჩემო დაო იზო. საოცარი სიცარიელე, სევდა, მწუხარება დაგვიტოვე. ნათელში იყავი, ჩვენო დიდო ტკივილო!

მადლენა ჭვანია-გოგიშვილი ოჯახით

ქართული საგანძურით სავსე სკივრიდან ზღაპრის გმირები ამოფრინდნენ

ახლად გარემონტებულ დარბაზში ეს პირველი ღონისძიებაა. ქართული (და არა მარტო) საზღაპრეთის ლამის ყველა პერსონაჟი სცენაზეა. ქართული ზღაპრების ორიგინალური, განსაკუთრებული ვერსიებიც კი შემოგვთავაზეს, სადაც წითელქუდასთან ერთად ყვითელქუდაც და ცისფერქუდაც არიან, სადაც სიკეთეზე ვერ დღესასწაულობს ბოროტება და მგელი მეგობარია!

მე-4 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ჯგუფის პედაგოგმა მარინა კაკაბაძემ (აღმზრდელის თანაშემწეები ასმათ კიკაბიძე და ნანა ჟვანია) თავის აღსაზრდელებთან ერთად ლამაზ ღონისძიებაზე გვიმასპინძლა. პედაგოგმა სიამაყით აღნიშნა, რომ ღონისძიების დაწყებამდე, როცა სხვადასხვა თოჯინები დაურიგა თავის აღსაზრდელებს, ყველამ შესანიშნავად განასახიერა ის პერსონაჟი, რომლის შესატყვისი თოჯინაც ეჭირა. ასე ვიპოვე პატარა მსახიობებიო, პედაგოგმა და ჩვენც გვაპოვნინა. ზღაპრებით სავსე სკივრს თავი მოხადეს და... ქართული საგანძურით სავსე სკივრიდან უამრავი ლამაზი პერსონაჟი ამოფარფატდა...

კომბლე თავისი ცხვრებით, ნიფნიფი, ნაფნაფი და ნუფნუფი, მაშა და დათვი, (რუსული ზღაპრიდან) დევი და ნაცარქექია თავისი საოცარი სისხარტით, წუნა და წრუწუნა... ალადინი და ესმერალდაც ერთად დგანან, თანაც საქმე ტანვარჯიშს ეხება. რამდენიმე პატარამ თავდაყირა დგომის შესანიშნავი ნიჭიც გამოავლინა. მაია წყნეთელის სიმღერაც გაჟღერდა კინოფილმიდან, პრინცესა და პრინციც ვიხილეთ. შტრაუსის ვალსიც აჟღერდა... განსაკუთრებულად მოეფერნენ პატარები დედიკოებს, რადგან ზეიმი ქალთა დღესასწაულებს დაემთხვა. „დედიკოებო, თქვენ ჩვენს გულებში გაზაფხული შემოიყვანეთო". – ეს ის სიყვარულია, ჯერ რომ ვერ აცნობიერებენ და მხოლოდ სიტყვებით გადმოსცემენ. სიყვარული თანატოლის, გაბრიელ შუბლაძის მიმართაც გამოხატეს პატარებმა და მოკითხვა გაუგზავნეს მას. ამ დღეებში ის მსუბუქად დაზიანდა და საავადმყოფოშია, ამდენად თავისი თანატოლების შესრულებული როლების ვიდეოვერსიას იხილავს, მალე კი თავადაც შეუერთდება თანაჯგუფელებს.

ზეიმის ბოლოს სცენაზე ბაღის მმართველი, ნანა დუნდუა ავიდა და კიდევ ერთხელ დალოცა პატარები, წარმატებები უსურვა მათ და ყოველივე საუკეთესო. ის უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვებით მოეფერა აღსაზრდელებს: „ყველაფერი კარგად იქნება..."

სკოლამდელ გაერთიანებათა დაწესებულების მეთოდისტი, იზო ხუჭუაც მიესალმა მათ და განაცხადა: „დიდი მადლობა ყველას, ნანა მმართველის ხელმძღვანელობით მადლობა პედაგოგს, მშობლებს, ბავშვებს. გილოცავთ გაზაფხულის მობრძანებას, უამრავი ასეთი ლამაზი გაზაფხული დამდგარიყოს თქვენს ცხოვრებაში"...

ნათია ნაცვლიშვილი

P.S.

პედაგოგთა ტესტირების შედეგების გამო

ჩვენო ძვირფასო თეა!

მარტის შუშპარა რიტმებს აყოლილო, მარტის თვეში მოევლინე ქვეყანას, გაზაფხულის ნედლი სუნთქვით გაჯერებული ყოფილიყოს შენი ყოველი დღე, სისხამი დილის მადლი არ მოაკლდეს შენს ცხოვრებას...

პროფესიულ წარმატებებს გისურვებთ, ღმერთი გფარავდეს შენ და შენს ლამაზ ოჯახს!

„სამტრედიის მაცნე"

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო თეა, სიხარულით, სიყვარულით სავსე წლები შეგმატებოდეს. გემაყოს შენი შვილებით, შენი ოჯახით. სულ მუდამ ბედნიერი გვენახე!

ნატაშა, თამილა, ციცინო

ხათუნა ჩხიკვაძეს!

ძალიან საყვარელო, ძალიან ლამაზო, მართლაც დედასავით მზრუნველო ხათუნა მასწავლებელო გილოცავთ დაბადების დღეს. გვეხსომები მუდამ, სანამ თანაკლასელებს ერთმანეთი გვეყვარება.

მეთერთმეტე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი.

ვულოცავთ!

პატარა ვაჟკაცის, **დაჩი ოსიძის** ამქვეყნად მოვლინებას ვულოცავთ მშობლებს, მარიამ ივანიაძესა და ლევან ოსიძეს, ბებიებსა და ბაბუებს. ვუსურვებთ პატარა დაჩის, სასახელო, ღირსეული ქართველი ყოფილიყოს და მისი კაიკაცობით არა მარტო ოჯახს, ქალაქს, არამედ ქვეყანას ეამაყოს. იხაროს და იბედნიეროს!

კოტე ნაცვლიშვილი და კახა კიკვაძე ოჯახებით

ანანო გალდავას!

ჩვენო ცუგრუმელა გოგონა, სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გაზაფხულის სილამაზე და სიკეკლუცე უხვად მოგანიჭა ბუნებამ. ჩვენო კეთილო, ერთგულო და ნიჭიერო ანანო, 21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეც არის და ამიტომ, შენი დაბადების დღეც განსაკუთრებულად გვიყვარს შენი დედიკოს ჟურნალისტ მეგობრებს. უფალმა დაიფაროს შენი ყოველდღიურობა, გისურვებთ საუკეთესო მომავალს, ისეთი სასახელო ქალი ყოფილიყავი, შენი დედიკოს და მამიკოს გულს რომ გაუხარდება.

„სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა